# საქართველოს ხელისუფალნო!

## ქვეყნის მოღალატე ნაციონალურ ბანდას სხვა გზა არ დარჩენია, თუ არა „არჩევნები გაყალბდა“-ს გაუთავებელი ძახილი!..

## ნუთუ აღარ დადგა ჭკუის სწავლების ჟამი?

## ახლა მაინც ალაგმეთ ჩვენი სამშობლოს დამაქცევარნი!


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბუთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-ორშაბათი, 7-9 ნოემბერი. 2020 წ. №152-153 (9078-9079) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## სომხური სეპარატიზმის შემდეგი სამიზნე ცნობილია – ჯავახეთი!



### სომხები ოკუპირებული აფხაზეთიდან ყარაბაღში საბრძოლველად მიდიან...

ოკუპირებული აფხაზეთიდან ეთნიკური სომხების მოხალისეთა პირველი ჯგუფი მთიან ყარაბაღში საბრძოლველად გაემგზავრა. ამ ჯგუფში, დაახლოებით 20 ადამიანი შედის. ინფორმაცია სოციალურ ქსელებში ვრცელდება. მოხალისეთა ჯგუფის ფოტო რუსეთის ქალაქ სოჭში, აეროპორტთანაა გადაღებული.



იხ. 4 გვ.

თემის გაგრძელება იხილეთ პროფესორ გურამ მასხულიას მეტად საგულისხმო წერილში...

## გიორგი გახარია:

## თუ არ გვეხმარებიან, ხელს მაინც ნუ გვიშლიან!



**...არავის დაავიწყდეს, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო უფრო მეტმა მოქალაქემ, ვიდრე 2016 წლის არჩევნებში და არავის დაავიწყდეს, რომ ამ არჩევნებში პირველად საქართველოს ისტორიაში ჩვენმა მოქალაქეებმა 9 პარტიას მისცეს მანდატი, შესულიყვნენ პარლამენტში და პარლამენტის პლატფორმით, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებით, ქვეყნის მომავალზე და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაზე ეზრუნათ და არა ქუჩის აქციების, ქვეყნის რისკის ქვეშ დაყენების, ვირუსის გავრცელების და ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისში შეყვანის. ამიტომ, მჯერა, რომ ჩვენ ამ გამოწვევას გავუძლებთ, ამ გამოწვევასაც გავუმკლავდებით, თუ არ გვეხმარებიან, ხელს მაინც ნუ გვიშლიან, ეს არის ჩვენი ძირითადი მოწოდება და ძირითადი მიზანი, რადგან ჩვენი ამოცანაა ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა, ჩვენი ეკონომიკის გადარჩენა და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ისე, რომ არავის გამოხატვის თავისუფლება არ შევზღუდოთ. ამისთვის მთავარია, დავიცვათ წესები“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ გუშინ ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში.

* * *

ჩვენი რედაქცია, თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად, მთლიანად ეთანხმება პრემიერის მოწოდებას, თხოვნას და გაფრთხილებას!..

# პოლიტიკური ხარაკირი

**მრავალი არჩევნების მომსწრე და მონაწილე ვარ.**

**მახსოვს, დილაუთენია უბანში ჩამოვლილი ბორტებგადახსნილი სატვირთო ავტომობილი დოლ-გარმონით და ხალხის საარჩევნო უბანში მიპატიჟება (ეს ხდებოდა არა სადმე სოფელში, არამედ თბილისში, საბურთალოზე).**

მახსოვს, მეზობლები როგორ „ანდობდნენ“ თავიანთ ხმებს რომელიმე მეზობელს (ან სულაც იმ უბნის აგიტატორს) ჯგუფურად მისაცემად.

ეს კომუნისტების დრო იყო, როცა არჩევნებიცა და ასარჩევებიც ყველას ფეხებზე ეკიდა. მერე ვითარება შეიცვალა, ისეთი დრო დადგა, როცა ყოველ ხმას სისხლის ფასი დაედო. ასე მოვედით დღევანდლობამდე.

ჯერ იყო და ხმების დათვლით ოპოზიციის უკმაყოფილებას „ვარდების რევოლუცია“ მოჰყვა, შემდეგ კი ყოველ ახალ ეტაპზე „გააყალბეს, გააყალბეს“ ძახილმა აამტუტა ქვეყანა. ახლაც იქ ვართ, სადაც 2003 წელს ვიდექით. არჩევნების „გაყალბებით“ აღშფოთებულმა ოპოზიციამ თავზე მაჯლაჯუნად დაწოლილი პანდემია გვერდზე გასწია და უიმედო საქმე — რევოლუციის შეკოწიწება დაიწყო.

**ყველაფერი რომ ასე მღვრიედ დამთავრდებოდა, წინდაწინვე იყო ცნობილი. აკი სულ წვრილ-წვრილად ყვებოდა ამის თაობაზე ირაკლი კობახიძე არჩევნებამდე 2 დღით ადრე: თუ ოპოზიცია წააგებს, ისეთივე სცენარით წარმართავს მოქმედებას, როგორც მაშინ, პარლამენტში ნაალაფევი ჩაის სმის დროსო. და ამას კობახიძეს გულთმისნობა ან სიზმრად ნანახი კი არ ალაპარაკებდა, არამედ არსებული ვითარების შეჯერება.**

ოპოზიციამ იმდენი იძახა, გავიმარჯვეთო, რომ თავი დააჯერა., გიორგი ვაშაძე აკი უკვე პრემიერ-მინისტრად იძინებდა და იღვიძებდა. ახლა კი ისეთივე თავდაჯერებულობით არის ძალაზე — არჩევნები წაგვართვეს, არჩევნები გაგვიყალბეს, შედეგები არ ასახავს ქართველი ხალხის ნებას, მოვითხოვთ ხელახალ არჩევნებსო და უარს ამბობს X მოწვევის პარლამენტში შესვლაზე.

ყოველივე ამას სათავეში ნაციონალური მოძრაობა უდგას, რომლის ლიდერიც — უკრაინაში მოთარეშე მარტოხელა მგელი ფხიზლად აყურადებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. წვრილი პარტიები ნაცების დიქტატს აჰყვნენ, ოღონდ ახლა, როცა ქვეყნის საზოგადოების ნაწილი ეიფორიას მოუცავს, ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ამ ნაბიჯით ნაცმოძრაობის თამაშში ებმებიან, თვითონვე ზარალდებიან და ხვალ უფრო დაზარალდებიან. ამომრჩეველთა ნახევარი მილიონი ხმა რჩება ქუჩაში, საკანონმდებლო ორგანოს მიღმა.

იხ. 3 გვ.

# ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი: 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა დემოკრატიისადმი გულმხურვალე ერთგულება



**„საერთაშორისო დამკვირვებლებმა, მათ შორის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციამ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური შეაფასა, როგორც კონკურენტული. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ძირითადი თავისუფლებები, საერთო ჯამში, დაცული იყო, როგორც კამპანიის პერიოდში, ისე არჩევნების დღეს. მე ვულოცავ ქართველ ხალხს, რომ, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული რისკებისა, მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს დემოკრატიისადმი თავიანთი გულმხურვალე ერთგულება“,** — აღნიშნულის შესახებ ნათქვამია ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ატილა მესტერჰაზის განცხადებაში, რომელიც მან საქართველოში 31 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით გააკეთა.

თავის განცხადებაში საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი საერთაშორისო დამკვირვებელთა მიერ გამოვლენილ ხარვეზებზეც გამოთქვამს შეშფოთებას. მისი თქმით, როგორც საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ისე არჩევნების დღეს დაფიქსირებულმა ხარვეზებმა უარყოფითად იმოქმედა საარჩევნო პროცესის გარკვეულ მონაკვეთებთან მიმართებაში საზოგადოებრივ ნდობაზე. ატილა მესტერჰაზი მოუწოდებს ხელისუფლებას მთელი სიმკაცრით, გამჭვირვალედ და სამართლიანად გამოიძიოს და აღმოფხვრას ყველა ინციდენტი. ამავდროულად, ის აღნიშნავს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი არსებული შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით უნდა გადაწყდეს. **ყველა დაინტერესებულ პოლიტიკურ მხარეს მივმართავ თხოვნით, მომდევნო კვირების განმავლობაში იმოქმედონ პასუხისმგებლობის გრძნობით და თავშეკავებით. ასევე მოვუწოდებ, რომ რაც შეიძლება მალე განაახლონ დიალოგი, მათ შორის არსებული უთანხმოებების მშვიდობიანად და დემოკრატიულად გადაწყვეტის მიზნით.**



# სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით სუს-ში გამოკითხვები გრძელდება

**ოპოზიციის 31 ოქტომბრის აქციასთან დაკავშირებით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით დაწყებული გამოძიების ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოკითხვები გრძელდება. არსებული ინფორმაციით, სუს-ში ოპოზიციის ათამდე წარმომადგენელი იყო დაბარებული.**

გუშინ უწყებაში არჩევნების დამკვირვებელი აკაკი გურჯიშვილიც მივიდა. როგორც მან განაცხადა, ის არჩევნების დღეს სამგორის 41-ე უბნის გარე პერიმეტრს აკვირდებოდა.

**„სავარაუდოდ, იმის გამო ვარ დაბარებული, რომ ვიყავი დამკვირვებელი, მქონდა ჩემი ფუნქციები — პერიმეტრი მეკონტროლებინა, რომ არ ყოფილიყო დარღვევები, აყალმაყალი, ჩხუბი. „ამერიკის მხარდამჭერთა ლიგიდან“ ვარ. არავისთან არ მაქვს კავშირი. ჩემი მეზობელია, ვინც მთხოვა და წამიყვანა, სავარაუდოდ, გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერია. არ ვიცნობ დევი ჭანკოტაძეს. მე შესაბამისი აკრედიტაცია მაქვს ცესკო-დან“,** — განაცხადა აკაკი გურჯიშვილმა.

მეზობლის ვინაობის დასახელებას მოწმე სუს-ში აპირებს. უბნის დამკვირვებელი „ამერიკის მხარდამჭერთა ლიგიდან“ ამბობს, რომ მან არ იცის, რატომ დაინტერესდა გამოძიება მისით. სუს-თან მივიდა საგამოძიებო უწყებაში დაბარებული კიდევ სამი პირის ადვოკატი გიორგი გოგინავა, რომელიც კახა ლომთათიძის, რეზო ბარამიძისა და იოანე ქერქაძის ინტერესების დამცველია. როგორც ადვოკატმა აღნიშნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფები ორგანიზაცია „ანტიკორუფციული საბჭოს“ წარმომადგენლები არიან და საარჩევნო პროცესს აკვირდებოდნენ. ადვოკატის თქმით, კონკრეტულად რა შეკითხვები ექნებათ გამომძიებლებს, ჯერ მისთვის უცნობია.

# კობახიძემ სახელმწიფო უსაფრთხოებას „ნაცების“ „რევოლუციური გეგმების“ შესახებ ინფორმაცია მიაწოდა



„ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა სუს-ში გამოკითხვის დეტალებზე ისაუბრა.

**„გუშინ ჩატარდა გამოკითხვა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მივაწოდე ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რა დესტრუქციული, ე.წ რევოლუციური გეგმები ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორ იგეგმებოდა ეს ყველაფერი, დეტალები მივაწოდე ასევე იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ჩართული ამ გეგმის განხორციელებაში და ასევე, რა თქმა უნდა, მივაწოდე ინფორმაცია წყაროსთან დაკავშირებით, თუ ვინ მომაწოდა ეს ინფორმაცია, ეს უნდა გახდეს, რა თქმა უნდა, შემდგომი სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმის საფუძველი.**

**დადგება თუ არა კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხი, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ვარაუდობს, რომ „საბოლოო ჯამში გამოძიება ამაზე გავა“ — „გამომდინარე იქიდან, რომ იყო ძალიან მკაფიო გეგმა შედგენილი და ამ გეგმის აღსრულების ნიშნები საზოგადოებამაც ნახა თუნდაც არჩევნების დღეს. როდესაც ადამიანები ელექტროშოკერებით შეიარაღებული გადაადგილდებოდნენ საარჩევნო უბნებთან, ეს იყო ამ გეგმის ნაწილი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ საჯარო განცხადება გავაკეთეთ, არჩევნების დღეს ამ გეგმის აღსრულება მათ ვერ მოახერხეს და დარწმუნებული ვართ, რომ ვერც შემდგომ დღეებში მოახერხებენ!..**

# „ტრიბუნის“ ოფისის გაქურდვის ფაქტზე ორი პირი დააკავეს

**ზუგდიდში სამართალდამცველებმა პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნის“ ოფისის გაქურდვის საქმეზე ორი პირი დააკავეს,** — ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.



მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ზუგდიდში მომხდარი ქურდობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს. „ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დაკავებულია 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.გ. და 1986 წელს დაბადებული რ.გ.

**დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ზუგდიდში, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ოფისში ფარულად შეაღწიეს. დ.გ.-მ და რ.გ.-მ აღნიშნულ ოფისში ტელევიზორი და კომპიუტერული ტექნიკა მოიპარეს, პოლიციამ ორივე პირი შემთხვევის ადგილზე დააკავა.**

# ამოიღეს 6 კილოგრამზე მეტი ჰეროინი!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კახეთში 6 კილოგრამზე მეტი ჰეროინი ამოიღო, დაკავებულია ერთი ადამიანი. ინფორმაციას უწყება ავრცელებს.



**„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ა.კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაქირში დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას 6 კილო და 500 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, 2020 წელს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:

1. პროფესორ **სერგო ხარიბეგაშვილს** — ანდრია რაზმაძის სახელობის აკადემიური პრემია ნაშრომისთვის **„ზოგიერთი ლოკალური და არალოკალური მრავალგანზომილებიანი ამოცანა ნახევრად წრფივი ჰიპერბოლური განტოლებებისა და სისტემების ერთი კლასისათვის“** .

2. პროფესორ **მინდია უგრეხელიძეს** — თინათინ წერეთლის სახელობის აკადემიური პრემია ნაშრომთა ციკლისათვის **„სამართლის ფილოსოფიის პრობლემატიკა“.**

3. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა **დოქტორ ოთარ დუდაურს** და გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატ **მანანა ტოგონიძეს** — ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის აკადემიური პრემია ნაშრომისათვის **„საქართველოს მეზოზოური ინტრუზიული კომპლექსების პეტროლოგია და იზოტოპური გეოქრონოლოგია“.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, „ცხელ კერად“ საქართველოს ოთხი რეგიონი რჩება

**გასული დღე-ღამის განმავლობაში საქართველოში კოვიდინფიცირების 2 775 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, მათგან ყველაზე მეტი, 976 — თბილისში. გარდაიცვალა 22 პაციენტი, გამოჯანმრთელდა — 3 560.**

ახალი შემთხვევები დედაქალაქისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

**თბილისი — 1 044; აჭარა — 503; იმერეთი — 526; ქვემო ქართლი — 207; შიდა ქართლი — 177; გურია—89; სამეგრელო-ზემო სვანეთი — 117; კახეთი — 36; მცხეთა-მთიანეთი — 43; სამცხე-ჯავახეთი — 25; რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი — 8.**

ამ ეტაპზე საქართველოში კოვიდ-ინფიცირების 14 525 აქტიური შემთხვევაა. 4 618 ინფიცირებული მკურნალობს საავადმყოფოში, 2 438 — კოვიდ-სასტუმროში, 7 469 — ბინაზე. საკარანტინო სივრცეში 3 094 ადამიანი იმყოფება. მძიმე პაციენტთა რაოდენობა 619-ს შეადგენს. მათგან 336 პირი ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

უკანასკნელი მონაცემებით, საერთო ჯამში, საქართველოში კოვიდინფიცირების 51 993 შემთხვევაა გამოვლენილი, მათ შორის 37 019 პაციენტი გამოჯანმრთელდა, 423 — გარდაიცვალა.

# ირაკლი ოქრუაშვილს კორონავირუსი დაუდგინდა

**„გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს ირაკლი ოქრუაშვილს კორონავირუსი დაუდგინდა,** — ამის შესახებ მან Facebook-ის საკუთარ გვერდზე დაწერა.

**„საინტერესო 47-ე წელი შევასრულე (ცესკოს დათვლით 57-ე). საერთოდ არ მიყვარს საკუთარი დაბადების დღე, არც მისი აღნიშვნა და არც მასზე საუბარი. სხვა მიზნით ვწერ პოსტს. სად აღარ „აღმინიშნავს“ დაბადების დღე, მიტინგზე, აეროპორტში, ტყეში, ციხეში და ა.შ. ცხოვრება ყოველთვის საინტერესო საჩუქრით მაჯილდოვებდა. წელს, ვფიქრობდი, რა საჩუქარს მომიმზადებს იღბალი-მეთქი და მივიღე განსაკუთრებული — ლაბორატორიის დადებითი პასუხი კორონაზე. ამის გამო არ ვჩანდი ბოლო ორი დღე აქციებზეც და ტელევიზიებშიც, რადგან პასუხს ველოდი და სამწუხაროდ, 8 ნოემბერსაც მომიწევს აქციის გამოტოვება. გადამდები რომ არ ვიყო, აუცილებლად მოვიდოდი, თუმცა 8-ში მხოლოდ „იწყება“ და აუცილებლად დაგეწევით რამდენიმე დღეში. უჩემოდ ბარიკადები არ იქნება... მადლობა ყველას, მოლოცვაზე მეტად 8 ნოემბერს რუსთაველზე მისვლისთვის“,** — წერს ირაკლი ოქრუაშვილი.




# პოლიტიკური ხარაკირი

(პირველი გვერდიდან) ნაცმოძრაობა თავის ქმედებას „ხალხის გადაწყვეტილებად" ასაღებს. მაგრამ ავიწყდება, რომ ხალხი „ოცნების" გვერდითაც დგას. თუ ხმათა 48 პროცენტის მომპოვებელი, ხალხი არ არის? 930 ათასზე მეტი ხმა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" მიიღო და რომელიც 40 ათასი ხმით აღემატება ოპოზიციის „მოსავალს", გასათვალისწინებელი არ არის?

**კაცმა რომ თქვას, ერთობ საკვირველია, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ხმათა 27 პროცენტი მიიღო. არასდიდებით არ მეგონა, ამდენს თუ გაქაჩავდა (სწორედ საოცარია, რომ ამ დროს „პატრიოტთა ალიანსმა" 3,14 პროცენტზე მეტი ვერ აიღო!), არადა, ქვეყანა შეაჯერა, ხმები მომპარესო. მთელი მისი მეცადინეობა იქითკენ არის მიმართული, რომ ეუთო/ოდირმა შეცვალოს თავისი დასკვნა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ არჩევნები ჩატარდა კონკურენტულ და თავისუფალ გარემოში. უცხოელ დამკვირვებლებს არწმუნებენ, გინდა თუ არა, 31 ოქტომბრის არჩევნები არალეგიტიმური იყოო...**

რაც ოპოზიციამ, ხმამაღალი დეკლარაციის მიუხედავად, არჩევნებამდე ვერ მოახერხა, ახლა შეძლო: იგი გაერთიანდა. ხელისუფლების წინააღმდეგ საერთო ბრძოლა მემორანდუმზე ხელის მოწერით დაადასტურეს იმ პარტიებმაც კი, რომლებმაც საერთოდ ვერ გადალახეს მიჯნა. ერთი სიტყვით, მგლის შიშით ძაღლები რომ ხროვად შექუჩდებიან, ისე.

კუთვნილი ხმების მოპარვაზე ძალზე მძაფრ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ქალბატონები ეკა ბესელია, ნინო ბურჯანაძე და ირმა ინაშვილი.

წარმოშობითა და აღზრდით ოცნებელი ეკა ბესელიას დღენაკლული პარტიის შესახებ რა მოგახსენოთ. კაცმა რომ თქვას, რა ჰქონდა მოსაპარი, რომ მოეპარათ!

**აი, ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში კი სხვა მდგომარეობაა, იმისი პარტია საკმაოდ ძველი და ბრძოლებში გამოჯერკილია, ოღონდ არ უმართლებს — ვერც ერთხელ პარლამენტში ვერ მოხვდა.ამას მწვავედ განიცდის ქალბატონი ნინო. ყოველთვის იმას აღნიშნავს, რომ სპეციალურად მოჰპარეს. ახლაც დაბეჯითებით აცხადებს, ეს ბიძინა ივანიშვილის საგანგებო დავალებით მოხდაო. იგი ხაზს უსვამს თავის დიდ გამოცდილებას, იმას, რომ ორჯერ იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, იყო პარლამენტის თავმჯდომარე.**

ოღონდ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქალბატონი ნინო ორჯერ იყო პრეზიდენტ სააკაშვილის მოვალეობის შემსრულებელი, იყო სააკაშვილის პარლამენტის თავმჯდომარე. დიდი გამოცდილება შეიძინა „ვარდების რევოლუციის" დაგეგმვასა და აღსრულებაში. ჰოდა, რატომ ჰგონია იმ რევოლუციის დიასახლისს, რომ მოსახლეობა ერთიანად მოხიბლული და აღფრთოვანებულია მისით და მისი პარტიის „აღმშენებლობითი" პროგრამით! მე ვაფრთხილებდი შევარდნაძეს (საინტერესოა, როდის, როცა ძირს უთხრიდა სააკაშვილსა და ჟვანიასთან ერთად, თუ მერე?), სააკაშვილს, ივანიშვილს, რომ ცუდად დაამთავრებდნენო, აცხადებს „მე-მე-მე" ქალბატონი., საყურადღებოა, თავი რატომ არ გაიფრთხილა?

**ყველაფერი კარგი, რაც „პატრიოტთა ალიანსს" ჰქონდა, რასაც მისი ლიდერი ირმა ინაშვილი ქადაგებდა, ერთი ხელის მოსმით ჩაიყარა წყალში. 100-ათასიანი მიტინგების ჩამტარებელს ხმათა 3 პროცენტზე მეტი არ ერგო. და ახლა ქალბატონი ირმა განცხადებათა შინაარსითა და ანტისახელმწიფო რიტორიკით არაფრით განსხვავდება, რომ იტყვიან: მტრის ოჯახში შევიდესო — ხატია დეკანოიძისგან.**

გასაგებია, რომ ირმა ნაწყენი და შეცბუნებულია არჩევნების შედეგებით. მეტს ელოდა, რატომღაც განუზომლად მეტს. ჯერ კიდევ არჩევნებამდე აცხადებდა, „ალიანსი" პირველია პარტიათა რანგთა ტაბელშიო (მეორე — ნაციონალური მოძრაობა, მესამე — „ქართული ოცნებაო"). ამ ილუზიითაა გაჯერებული დღემდე, თავისად სულ ცოტა 22 პროცენტს მაინც მიითვლის. არადა, მიტინგზე მისული ყველა ადამიანი როდია „პატრიოტებზე" ჯვარდაწერილი.

გაურკვეველია, რას ეფუძნება ოპოზიციურ პარტიათა თავდაჯერება, რომ ხმები მოჰპარეს, რომ მათ აუცილებლად უნდა გაემარჯვათ.

რატომ უნდა გაემარჯვათ?

**განა წინასაარჩევნოდ მუშაობა იმგვარად წარმართეს, რომ გამარჯვება აუცილებლად უზრუნველეყოთ? მთელი მათი წინასაარჩევნო „მუშაობა" „ოცნებისა" და განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილის უკიდეგანო კრიტიკაზე იყო დაფუძნებული. თანაც, ეს კრიტიკაც არ იყო, უბრალოდ, ბინძური ლანძღვა-გინება, ანუ, როგორც დღეს იტყვიან, „ბულინგი" იყო. ბიძინას წაუშალეს ყველაფერი, რაც კი რამ კარგი გაუკეთებია და საყოველთაოდ არის აღიარებული: სამების დიდებული ტაძარი, შეკვეთილის უნიკალური დენდროლოგიური პარკი, მსოფლიო ბრენდების ტყუპისცალი — ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და სხვა მრავალი (მე მხოლოდ უმთავრესი, მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტები ჩამოვთვალე). ამ დიდ ქველმოქმედს უწოდებენ ქურდს, სამშობლოს გამყიდველს, რუსეთის ჯაშუშს...**

ნაცებისა და ევრონაცების ამ ულირს „პროპაგანდას" რატომღაც არის აყოლილი არჩევნების მონაწილე სხვა პარტიებიც — თვით „ლელოც" კი, რომელიც ხალხში „მესამე ძალად" მოსულად აღიქმებოდა, დღეს ის ნაცმოძრაობის რიგით ფეხისამწყობად არის ქცეული.

სიძულვილი, უსამართლობა, ლანძღვა-გინება, უმადურობა, ძირის თხრა, ცილისწამება არ უყვარს ხალხს, არ იწვევს მის თანაგრძნობას. არადა, სწორედ ეს ჰქონდათ და აქვთ მომარჯვებული ნაცებს, ევრონაცებს, ორივე ვაშაძეს (სელაპასაც და „პრემიერ-მინისტრსაც") და ძმათა მათთა, თუ დანარჩენ წვრილფეხებს, ლეიბორისტთა მსგავსთ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ოპოზიციის (მიჯნაგადალახულ ოპოზიციურ პარტიათა) ერთობა და სიმტკიცე, რომელმაც მიშა დაიფიცა, ფეხს არ შევდგამ პარლამენტშიო, მაინც არ მგონია მართლა ერთიანი და მტკიცე. ამის თქმის უფლებას მაძლევს თუნდაც თანაპარტიელების ნიკა მელიასა და გუბაზ სანიკიძის მწვავე შეჯახება „მთავარი არხის" პირდაპირ ეთერში.

**გუბაზ მყვარი ერთხანს კუშტად შუბლშეკრული უკეთებდა ჰიპნოზს სტუდიაში შეკრებილ ოპოზიციის ლიდერებს, რომლებიც შექმნილ ვითარებაზე მსჯელობდნენ. ბოლოს, ეტყობა, იფიქრა, ისევ „კავკასიის" სტუდიაში ვარ გელბახიანთან და ყველაფრის თანახმა აქუბარდიასთან ერთად, სადაც ნებისმიერი სიტყვა გამდისო და დაიღრუტუნა, თქვენი ბრალია, თქვე უსაქმურებო, რაც მოხდაო, ოფსილა არ გეყოთო,. ახლა დროა, მიშა სააკაშვილი ჩამოვიყვანოთ, რომელსაც ერთადერთს შესწევს საქმის გამოსწორების და ბოლომდე მიყვანის ძალაო.**




კრიტიკამ და სააკაშვილის შესაძლო ჩამოსვლის ხსენებამ ნიკა მელიაზე ისე იმოქმედა, როგორც ვირთაგვაზე — ქონმა და გუბაზს ეცა საყელოზე გადმოფენილ ღაბაბში: ვინ ხარ, რას წარმოადგენ, რა გაგიკეთებია, შენ ვინ გეკითხება, ვინ ჩამოვიყვანოთ და ვინ არა, შენთან ლაპარაკიც არ მინდა, შე ცხრატყავგამოცვლილოო!

იქით გუბაზი ათანთალდა და სტუდიაში ძუნძული დაიწყო, .არჩევნების დღეს შტაბიდან ცხვირი არ გამოგიყვია, და ახლა ბევრს ლაპარაკობ, შე უქნარაო.

ასე და ამრიგად, კინაღამ ერთმანეთს დასცხეს და დამფრთხალ გამშველებელ ნიკა გვარამიას ნეკნები გაუერთიანეს. ისე, ამბობენ, კულისებში მელიამ გუბაზს ყბა მოუნგრიაო. ეს რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ ბოლო ცინცხალი ამბის მოსმენით ბევრმა კმაყოფილება ვერ დამალა.

**ერთი სიტყვით, ოპოზიციას სალკლდეობის დიდი გამოცდა ელის. არის მონაცემები, რომ პარტიები ვერ გაუძლებენ თუნდაც ეკონომიკურ ზეწოლას. აი, მაგალითად, როდესაც „რუსთავის" ტელეწამყვანი შეეკითხა სტუმრად მყოფ ფიქრია ჩიხრაძეს („ლელო"), თუ აიღებთ პარლამენტის წევრი პარტიებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხასო, რაც გვეკუთვნის, ყველაფერს დიახაც ავიღებთო, უპასუხა მტკიცედ, თაკო ჩარკვიანმა („სტრატეგია აღმაშენებელი") კი შორს დაიჭირა. აიღებენ, აბა რას იზამენ! მაგრამ, თუ გაქირი გასწიეს და პარლამენტში არ შევიდნენ, ფული რაში უნდა უხადონ?!**

ერთიც, ურომლისოდაც არ შეიძლება ამ წერილის დასრულება, ეს გახლავთ ყბადაღებული თემა — „ხელისუფლების მიერ ამომრჩეველის მასობრივი მოსყიდვა". ბრალმდებელი ოპოზიცია საქაღალდეებზე დამაჯერებლად იტყაპუნებს ხელს, აგერ გვაქვს დამამტკიცებელი საბუთებიო. ვიდეოზეც გვაქვს გადაღებული, როგორ ურიგებდნენ ფულს ხმის მიმცემებსო. მაგრამ ვერაფერი გვაჩვენეს...

**ამომრჩევლებს 5-5 კილო კარტოფილი დაურიგესო. ამ სულით ღატაკებმა მეტი ვერ გაიმეტეს, ხალხი 5 კილო კარტოფილზე გაყიდულად წარმოაჩინეს (ამაზე იტყოდა კოდელი ვარდუა მკითხავი, უკეთესი არაფერი შევიდეს თქვენს ოჯახშიო). სხვათა შორის, იმ გოდორა გუბაზ სანიკიძემ ერთ-ერთ არხზე უსირცხვილოდ თქვა, „ოცნებას" ძირითადად ღატაკები აძლევენ ხმასო.**

**ვერც კარტოფილის დარიგების სამარცხვინო ფაქტი გვიჩვენეს. ვერც ერთი! ისე, ადვილად კი შეეძლოთ ეჩვენებინათ: სხვაგან არ ვიცი და ჩვენთან, დელისში, დიდ ეზოებში, ამ შემოდგომაზე მუდმივად დგანან წალკური, ბოლნისური თუ ახალქალაქური კარტოფილით სავსე მიკროავტობუსები. ფასი 70 თეთრიდან 1 ლარამდეა. მოეყვანათ ტელეოპერატორები და გადაეღოთ ძვირფასი, უნიკალური კადრები: „როგორ ურიგებენ ღატაკ ამომრჩევლებს კარტოფილს"... ერთი სიტყვით, დაგწამებენ აქლემი ხარო და ამტკიცე მერე, რომ აქლემი არა ხარ.**

ჯგუფური ჩხუბი კი ბევრი გვანახეს. აი, როგორ გვცემდნენ, ბიძიებო და დეიდებოო. მაგრამ ჯგუფური იმისია, ძნელად გაარჩევ, ვინ ვის და რატომ ურტყამს...

ევრონაცების მიერ ფოთში მოწყობილი სახალხო, 600-კაციანი ქეიფ-ღრეობა კი გამოკვეთილად ვიხილეთ. ის არ იყო ამომრჩევლის მოქრთამვა?

სხვათა შორის, ჩვენი ოპოზიციონერები ხშირად უქადაგებდნენ ამომრჩეველს... ტელეეკრანიდან: „ოცნებამ" თუ ფული შემოგთავაზათ ხმის სანაცვლოდ, უარი არ უთხრათ, გამოართვით, მაინც ჩვენი ჯიბიდან ამოცლილი ფულია, ხმა კი ჩვენ მოგვეცითო, სხვათა შორის, „რესპექტაბელური" ნინო ბურჯანაძეც კი ამგვარად მოძღვრავდა ტელემსმენელს.

ჰოდა, გაითვალისწინა ეს დარიგება ხალხმა ფოთში: ევრონაცების მიერ გაშლილ უხვ სუფრაზე კარგად, მამაპაპურად მოილხინა, მასპინძლებს სულ „სქანი გოლუაფიროო"უძახა და ხმა კი სხვას მისცა (ყოველ შემთხვევაში, ბუდარა და ბუდარიხა ფოთიდან ხმებით დიდად დატვირთულები არ დაბრუნებულან).

კინაღამ დამავიწყდა: ნაცები რომ დანას ეხევიან, არჩევნები გააყალბესო და „დოკუმენტურად ადასტურებენ" ამას, რატომ ავიწყდებათ თვით დიდი ნიკა მელიას წინასაარჩევნო დაბეჯითებული მტკიცება: „ვერავინ არჩევნებს ვერ გააყალბებს, გაყალბება გამორიცხულია, ისე გვაქვს კონტროლი აწყობილიო".

ახლა სწორედ რომ კრიზისული ვითარებაა შექმნილი. ოპოზიციამ ხარაკირი გაიკეთა — პარლამენტში არ შედის, ხმების ხელახალ გადათვლას ან სულაც ხელახალ არჩევნებს მოითხოვს და ფონს გასვლა ხალხმრავალი მიტინგებით გადაუწყვეტია. დიდი ღრიანცელები გველის!

**და ამ დროს იბადება კითხვა: სად არის ის 930 ათასი „ოცნების" ამომრჩეველი? წარმოიდგინეთ, რა მოხდება პარალელურ მიტინგზე ხმამაღლა რომ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ოპოზიციის მიერ ატეხილი ამ ქარიშხლის მიმართ! უპირველეს ყოვლისა, ხომ მისი ღირსება და მიზნები, მისი არჩევანი ილახება?!**

**ალეკო ასლანიშვილი**

# სომხური სეპარატიზმის შემდეგი სამიზნე ცნობილია – ჯავახეთი!



**ილია ჭავჭავაძე წერდა: „...სომხები ცდილობენ ბუდეების აშენებას ისეთ ადგილებში, სადაც მათ არასოდეს უცხოვრიათ და ცდილობენ ამაში ყველა დაარწმუნონ“. სომხების უმადურობით შეშფოთებული აკაკი წერეთელი კი იხსენებდა: „ქართველ მეფეებს სომხები ებრალებოდათ, ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაასახლეს სავაჭრო საქმიანობისთვის, მათ ქალაქებიც კი მისცეს. როდესაც ქართველები დაღლილ-დაქანცულები ომიდან შინ დაბრუნდნენ, გაკვირვებულებმა ნახეს, რომ მათი სახლები სომხების მხრიდან მითვისებული იყო, რომლებიც „ძმად“ მიაჩნდათ. ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადათ, წივილ-კივილს მართავდნენ: „თქვენ ვინ ხართ, საიდან მოხვედით? თქვენ აქ როდის ცხოვრობდით? ეს მიწები ყოველთვის ჩვენი იყო!“ მტკიცებულებად ქართულ ეკლესიებს, ტაძრებს იშველიებდნენ. მანდ კი ქართული წარწერები სომხურით ჰქონდათ ჩანაცვლებული“!..**

დღეს ჯავახკის ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში წარმოდგენილი ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში და სომხეთში ცხოვრობენ, ასევე არიან საქართველოს მოქალაქეები. ოფიციალურმა თბილისმა შექმნა ყველა საჭირო პირობა მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. მათ წარმომადგენლები ჰყავთ პარლამენტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ძალოვან სტრუქტურებში. სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები, საქართველო ავითარებს და მხარს უჭერს მათ ინტეგრაციას.

მიუხედავად ამისა, სომხები თხზავენ უსაფუძვლო ისტორიებსა და ამბებს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჩაგვრის შესახებ. მუდამ პრობლემების ძიებაში მყოფ სომეხთა შორის შესაძლოა შეხვდეთ ხალხს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ჯავახეთი სომხების ისტორიული მიწაა და არა საქართველოსი, რაც, რა თქმა უნდა, სისულელეა! ყველა ჩვენგანმა მშვენივრად ვიცით, თუ როგორ მოვიდნენ სომხები დღევანდელ საქართველოში. გრაფმა ივანე პასკევიჩმა სომხების ამ ტერიტორიებზე ჩასახლებას შეუწყო ხელი. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ — ეს არ არის ძირძველი სომხური მიწა. არ ვართ წინააღმდეგი, საქართველოს მოქალაქე სომხების ამ მიწებზე ცხოვრებდნენ, თუმცა ისინიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები, უნდა მოიქცნენ სახელმწიფოს კანონების შესაბამისად.

შემთხვევითი არ არის, რომ ყარაბაღის ომის დაწყების დღიდან მხარეში სეპარატისტული ძალები და რუსეთში მცხოვრები ჯავახკის პატრიოტული მოძრაობის წევრები აქტიურად აგროვებდნენ როგორც ჰუმანიტარულ დახმარებას, ასევე შემოწირულობებს მთიანი ყარაბაღის სეპარატისტული რეჟიმისთვის. სეპარატისტული ძალების საქართველოს მიწა-წყალზე ყარაბაღის სეპარატისტების დროშითა და ლოგოებგაკრული მანქანებით სოფელ-სოფელ თანხების შეგროვების ფაქტზე ადგილობრივი ხელისუფლების თვალების დახუჭვა ფრიად სამწუხაროა.

2020 წლის 17 ოქტომბრის jnews.ge-ს საინფორმაციო სააგენტოს გამოქვეყნებულ მოხსენებაში სათაურით „ჯავახეთში თანხების შეგროვება გრძელდება“, ნათქვამია, რომ ჯავახკის ფონდის აქტივისტები გადავიდნენ „არცახის“ (მთიანი ყარაბაღის) სეპარატისტული რეჟიმისთვის ფულის შეგროვების მეორე ეტაპზე. ასე რომ, აღნიშნული ფონდის აქტივისტები გამოხატავენ კმაყოფილებას პირველი ეტაპის წარმატებით დასრულებასა და საერთო სომხური ფონდისთვის 270 000 დოლარზე მეტი თანხის ჩარიცხვის გამო. სექტემბრის ბოლოს, როდესაც სამხედრო ვითარება მთიან ყარაბაღში გამწვავდა, ახალქალაქში შოვინისტურად მოაზროვნე სომეხმა ახალგაზრდებმა ერთ დღეში შექმნეს და ორგანიზაცია გაუკეთეს ფონდს და ამით დაიწყეს მთიან ყარაბაღში სომხური სეპარატისტული ჯგუფებისთვის დახმარების აღმოჩენა. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთში სომეხი ნაციონალისტები მოუწოდებდნენ მოსახლეობას, შეემცირებინათ ყოველდღიური ხარჯები და ფული „არცახში“ გაეგზავნათ.

**არმენოლოგი მეცნიერის ბონდო არველაძის თქმით, აქ მოღვაწე „ჯავახკის“ სომხური ორგანიზაციას ამ რეგიონის „კონსტიტუციაც“ დაუწერია, ინტერნეტში სამცხე-ჯავახეთის ჰიმნი, დროშა, გერბიც გამოჩენილა. ეს არ იყო მოულოდნელობა. იმიტომ, რომ რამდენიმე ხნის წინ შეიმუშავეს „ჯავახეთის ავტონომიის კონსტიტუცია“ (2014 წლის 8 დეკემბერი, გაზეთი „ახალი თაობა“, სტატია „სომხეთი საქართველოსგან ჯავახეთის ძალით წართმევას გეგმავს“).**

**ამ ეგრეთწოდებული „კონსტიტუციით“ სომხური ენისთვის სამხარეო სტატუსის მინიჭება და სომხური ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურში არგაწვევის მოთხოვნა იყო.**

თბილისში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის დაქვემდებარეში მყოფი კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის „ჰაიარტუნის“ ძირითადი მოვალეობაა, რათა ახალგაზრდობა კულტურულ-საგანმანათლებლო სულისკვეთებით აღზრდოს, სინამდვილეში კი სომხური ეკლესიის ფინანსური მხარდაჭერით არაპირდაპირი გზით უჭერს მხარს ყარაბაღის სეპარატისტებს.

„ჯავახკის“ პატრიოტული მოძრაობის თავმჯდომარე, პარტიის „ძლიერი სამშობლოს“ თავმჯდომარის მოადგილე, სომხეთის პარლამენტის წევრი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი შირაკ ტოროსიანი ვინ არის? ჯერ ერთი, მან განაცხადა, რომ საქართველოში მცხოვრები სომხები აპროტესტებენ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობას. „ბაქო-თბილისი (ახალქალაქის გავლით) — ყარსის სარკინიგზო ხაზი თუ კი შელახავს სომხეთის მიზნებს, ჩვენ, როგორც ჯავახკის სომხები, სომხეთის გვერდში დავდგებით“ — უთქვამს მას.

ცოტა ხნის წინ (2020 წლის 30 ოქტომბერი, პორტალი https://news.am/arm/videos/), შირაკ ტოროსიანმა წამოიწყო თაოსნობა ჯავახეთში გაწვრთნილი ახალგაზრდების „ჯავახკის“ მოხალისეთა სამხედრო ჯგუფში გაერთიანებით ყარაბაღის ომში გაგზავნის შესახებ. გამოდის, რომ დეპუტატი ზის ერევანში და ჯავახეთის ახალგაზრდებს საქართველოს მხარეში სამხედრო წვრთნების ჩატარებას ურჩევს. ასე რომ, მოგვიანებით ეს ახალგაზრდები „ჯავახკის“ ჯგუფის სახელით, სომხეთის ტერიტორიაზე იქნებიან „გადატყორცნილი“ და მოამზადებენ აზერბაიჯანის წინააღმდეგ ომისთვის. ისინი ბრძოლებში მიიღებენ მონაწილეობას.

**მაგრამ, ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ყარაბაღის ომის დასრულებისა და სეპარატისტი „მოხალისეების“ რეგიონში დაბრუნების შემდეგ ისინი ჯავახეთში არეულობებს არ მოაწყობენ? პროცესები კი არსებითად გვიჩვენებს იმას, რომ სომხები ჯავახეთში სეპარატისტული საქმიანობისთვის საფუძვლის მომზადებას შეუდგნენ. ტელემარათონებსა და სხვა ღონისძიებების დროს შეგროვებული თანხებიც, რომლებიც აშშ-ის კალიფორნიის შტატში რეგულარულად იმართება, ჯავახეთელი სომხებისთვის მრავალი სპორტული კომპლექსის მშენებლობას ხმარდება, რაც ომისთვის ფიზიკურად ძლიერი სომეხი ახალგაზრდობის მომზადებას ისახავს მიზნად.**



**ერთი სიტყვით, ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების შემდეგ ეჭვგარეშეა, რომ სეპარატისტი სომხების ვექტორი საქართველოსკენ იქნება მომართული.**

**გურამ მასხულია,**
**ისტორიკოსი, პროფესორი.**




**◉ მათქმევინეთ! მომისმინეთ!**

# რა სურთ უნიჭოთა ნიჭით დაჯილდოებულთ?!..

**უნიჭოების ნიჭი თავხედობა არისო, უთქვამს კონსტანტინე გამსახურდიას...**

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ოპოზიციურმა პარტიებმა საპარლამენტო არჩევნებისთვის კანდიდატების ახალი სახეები წრმოგვიდგინეს, საიდან სად- მეთქი, კი გავიკვირვე, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი „უნიჭოთა ნიჭიერებაში“... იმავ დროს დავმშვიდდი კიდეც, ხალხი უფრო ადვილად დაინახავს დასანახს, „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, ვიფიქრე... კი დარჩნენ რჩეულები, მაგრამ იმას როგორ წარმოვიდგენდი, ოპოზიციური პარტიების იმ სახელგატეხილ უმეტესობას, რომლის ნამოღვაწარით სამშობლოც დაგვემცრო და სხვა მრავალი უბედურებაც შეგვეყარა, ამომრჩეველთა საკმაო რაოდენობა მისცემდა ხმას! განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც მათ, ეგრეთ წოდებული, „ახალი სახეები“ კანდიდატებად წარმოგვიდგინეს, პარლამენტარიზმში სრულიად გაუთვითცნობიერებელი ეს ადამიანები ხალხმა კარიკატურებადაც კი აღიქვა! ამის შემდეგ ვხედავთ, რომ ამ სახელგატეხილ პარტიებს მაინც ჰყავთ ამომრჩევლები და არც თუ მცირედი. ეს ამბავი არ არის ყურადღების მიღმა მისატოვებელი...

არჩევნების დღეს გვეგონა, დაცხრა „ამყირავებელთა“ მიერ დანთებული აგრესიული ემოციებისა და შავ ვნებათა კოცონი, თურმე ნუ იტყვით და, ჯერ სადა ვართ! ნაცების თავკაცობით, ისევ შემოგვიბრუნდნენ ოპოზიციური პარტიები, გვპირდებიან, ცეცხლი და კოცონი აწი ნახეთო, ამომრჩეველთა ხმების უპირატესობით ჩვენ გავიმარჯვეთ და მთავრობამ გაგვიყალბა არჩევნებიო (სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ ამ აზრს, საარჩევნო მზადებისთანავე, „წინასწარმეტყველურად“ ავრცელებდნენ და დაჟინებით იმეორებდნენ!).

თავიანთი ნაცადი ხერხებით და მეთოდებით (ქუჩაში დემონსტრაციებით, აურზაურითა და ქაჯობით) ისევ იწყებენ იმ კადრების განმეორებას, რომელმაც არაფერი კარგი არ მოუტანა ქვეყანას. კრიმინალი ნაცები და მათი მიმდევრები ხელმეორედ ითხოვენ არჩევნების ჩატარებას, არაფრად აგდებენ ევროპელი დამკვირვებლების აზრს — არჩევნები კონკურენტუნარიან გარემოში, გამჭვირვალედ ჩატარდა, ის უზუსტობანი, რაც ახლდა ამ მართლაცდა რთულ პროცესს, საფუძველს არ გვაძლევს, არჩევნების შედეგს არ ვენდოთო... პოლიტოლოგებიც ურჩევენ — სიმართლის დასადგენად გამოიყენეთ პარლამენტის ტრიბუნა ან სასამართლოო, მაგრამ ვის ესმის!.. ტრიბუნა მხოლოდ ქუჩაშიო, — გაიძახიან, პარლამენტს კი ბოიკოტს ვუცხადებთო. ეს ცნობილი და ოპოზიციის თანმხლები ახირებებია. პარლამენტის დასაკუთრების, რევოლუციის გზით მართვის სადავეების დაუფლების სურვილმა მოღალატე ოპოზიციას გონება დაუბნელა. რევოლუცია და აყალმაყალი დაანგრევს როგორც ხალხის ფსიქოლოგიას, ისე ქვეყანას, მის ეკონომიკას. მაგრამ სულ ეს როდია, საქართველოს ოპოზიციური პარტიების შენახვა თურმე წელიწადში ცამეტ მილიონზე მეტი უჯდება ქვეყანას.

# პწკენა-პწკენაში პატარძალი დაორსულდაო

წერილს საქართველოს პარლამენტის მეოთხე და მეხუთე მოწვევის წევრის ხათუნა ხოფერიას ფეისბუქ-პოსტით დავიწყებ:

ჩემო მეგობრებო!

**„ხომ მწერთ სიმართლეს ამბობო, ჰოდა, ამ ერთ სიმართლესაც გეტყვით!**

**გეტყვით იმას, რაც ვიცი, რაზეც მიფიქრია და რაშიც დარწმუნებული ვარ!**

**ეს 2 დღეა, გამალებული მიმართვები, თხოვნები, საყვედური ისმის „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ. უფრო მეტად, ირმა ინაშვილის მიმართ!**

**უნდა შეხვიდე პარლამენტში, უნდა დაივიწყო წყენა, უნდა , უნდა, უნდა...**

**მაპატიეთ, მაგრამ ვის უნდა?... რატომ უნდა?... რა ვალი აქვს ამ გოგოს ასეთი თქვენი ან ჩემი, რომ ბულინგის ტოლფასი „მეგობრული რჩევები“ მოვახვიოთ თავზე?!**

**რა იყო, რაიმე შეეშალა?..**

**დღეს, „ქართულ ოცნებას“ სერიოზული**



**პრობლემები აქვს. დიახ, მას სჭირდება იდეოლოგიურად, მენტალურად მის ამომრჩეველთან ახლოს მდგარი პოლიტიკური ძალა, რომელიც მოპოვებულ „გამარჯვებას“ და ლეგიტიმაციას სიმძიმეს და სიმყარეს შემატებს. არაფერს ვამბობ ხმებზე, რაც 2/3-ისთვისაა საჭირო. აბა, წარმოიდგინეთ, ამ 2/3-ის შევსება „გირჩით“... კატასტროფაა ხომ?... ან ადეიშვილის მოადგილე ვაშაძით... ან დასაჭერი, სოროსის ფულით გამოკვებილი, ანაკლიის აფიორაზე დახარჯული საბიუჯეტო ფულებით გათხვრილი „ლელოთი“... რა თქმა უნდა, ეს ოცნებამ კარგად იცის. ეს ოცნებამ კარგად იცოდა მაშინაც, როდესაც „ალიანსის“ სრულ დისკრედიტაციას ახდენდა. კობახიძის მხრიდან მიყენებული შეურაცხყოფები, შმატრიოტების, გოიმების, რუსეთუმეების ძახილი არაფერია იმასთან, რაც ასიათასობით ხელმომწერის მიერ მოთხოვნილი ნაციონალური მოძრაობის გაუქმების შესახებ შეტანილ პეტიციას მოჰყვა... ეს იყო ირმას და ოცნების მხარდამჭერებისთვის სახეში შეფურთხება!!! დიახ, ჩემთვის ასე იყო და ვინმე თუ სხვაგვარად ფიქრობს, 27%-იან ნაცდამნაშავეებს ებარებოდეს!**

**ან ის რა იყო, სრულიად უწყინარ ქმედებას, ხატის ჩაბრძანებას ილორში, ერთი ვაი-ვიში რომ მოაყოლეს „მეგობრებმა?!“ რა მოხდა ასეთი?... დავით გარეჯი გაყიდა?.. ომი დაიწყო?... თუ გავრილოვის ღამის პროვოცირება მოაწყო?... თუ „პოლიტპატიმრები“ გამოუშვა, თუ „თეთრი ხმაურის“ აქცია დააფინანსა?..**

**რა შეეშალა ირმას?**

**რა დააშავა ირმამ?**

**იქნებ ის, 2012-ში ციხის კადრების გამო ოჯახიც, მეგობრებიც და საკუთარი სიცოცხლეც რომ გაიმეტა?!**

**ან ის, ქვეყნის კონსტიტუციის მიღებაში რომ გვერდით დაუდგა სახელმწიფოს?!**

**ან ის, ერთი დღითაც რომ არ შეუწყვეტია ჩვენი ქვეყნის მტრებთან ბრძოლა?!**



**ააა, ახლა როგორ დაემთხვა მისი პოზიცია იმ ავადსახსენებლების პოზიციასო,მეტყვით!**

**დაემთხვა!!! დაამთხვიეს!!! „გაუჩალიჩეს!!!**

**უნდა გადაყლაპოს ხო?... არც უნდა თქვას... არც უნდა გააპროტესტოს....**

**რა ვალი აქვს ასეთი ჩვენი, მისი მეგობრების, რომ საკუთარი ღირსების და პოლიტიკური შეხედულებების დაცვის უფლებასაც არ ვაძლევთ?....**

**ჰო, კიდევ, რუსეთში დადიოდნენ შეხვედრებზეო...**

**როდის ერთხელ წავიდა ისე, რომ საჯაროდ, ტელევიზიით არ მოგვმართა, წინასწარ არ გვამცნო, არ გვითხრა, ვის და რისთვის ხვდებოდა?! ან ჩამოსულზე ანგარიში არ ჩაგვაბარა და შედეგები არ გვაუწყა? არა, ეტყობა, ბოკერია, სააკაშვილ-სოროს, ბრაიზა, ბაიდენისთვის უნდა შეეთანხმებინა და „ნამესტნიკების“ ჭკუაზე ევლო, ან ამ კრიმინალების შემოგდებული ნარატივების გამო არც უნდა ეცადა ქვეყნისთვის რაიმე სიკეთის ქმნა...**

**რა ვიცი, იქნებ ურჩიოთ, პარტია გააუქმოს... რაღა საჭიროა, ხომ დალაგდა ყველაფერი ნაცებთან....**

**აი, ხომ გახსოვთ ის ლექსი, მე რომ ძალიან მიყვარს:**

**ღმერთმა ჭირი გვაშოროს და შოთას ფრესკა არვინ შალოს!**

**ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!**

**ჰოდა, თუ ვინმეს არაფერი შეშლია სამშობლოსთან, ეს ირმაა!!! ეს გულიანი, თვითნაბადი, ვაჟკაცი ქალი, უსაზღვროდ შეყვარებული თავის საქართველოზე!**

**ირმა, შენ უკეთ იცი, რა უნდა გააკეთო და რა არა!**

**მე გენდობი! შენ ჩემი მეგობარი ხარ!**

**დანარჩენ „პოლიტიკოსებს“ კი ვეტყვი:**

**ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოთ!“**

საკმაოდ უცნაური სიტუაციაა. ფაქტობრივად მთელი ოპოზიციური სპექტრი არჩევნების შედეგების წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს აანონსებს.

გაგიკვირდებათ და ის „პოლიტიკური ძალებიც“ კი აპროტესტებენ, რომლებმაც ხმების ერთი პროცენტიც კი ვერ მიიღეს. აქ შეიძლება მღვრიე წყალში თევზის დაჭერის, ან პოლიტიკურ სივრცეში ტივტივის სურვილი უფრო მუშაობდეს, ვიდრე რეალური შედეგის მიღებისკენ სწრაფვა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ახლა კი პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ თუ საქმე პროტესტის გამოხატვაზეა, ამის მორალური უფლება მხოლოდ საქართველოს პატრიოტთა ალიანსს გააჩნია.

დიახ, სწორედაც მორალური უფლება, რადგანაც პროტესტის განცდას მხოლოდ მორალური სიმაღლე იძლევა.

როგორ შეიძლება, ჩიკატილომ გააპროტესტოს ის, რომ ბავშვთა სახლის დირექტორად არ დანიშნეს?

როგორ შეიძლება, ეიხმანმა გააპროტესტოს ის, რომ მას ქირურგიული ოპერაციების და სამედიცინო კვლევების ჩატარების უფლება არ მისცეს?

ნაცმოძრაობას, ევრონაცებს, მათს უსაქმურ, ფულზე დახარბებულ სატელიტებს და მათთან აფილირებულ არასამთავრობოებს ჯანსაღი პროტესტის გრძნობა ჰქონდეთ?

ერთხელ გია ჭანტურიამ მითხრა — **პოლიტიკა იმდენად ბინძური რამაა, სუფთა ხელებით უნდა აკეთოო**.

და როგორ ფიქრობენ, პანდემიის მძვინვარების პირობებში, ყოველმხრივ შეჭირვებულმა საიდან უნდა გადაუხადოს სახელმწიფოსა და ხალხის ხარჯზე მოლხენის სურვილით ტვინგადაკეტილ ამ შინაურ მტრებს?

აი, ასე უტეხენ ხალხს გულს და სახელმწიფოს კი ავტორიტეტს! კანონმდებლებად მოსვლა სურთ და ამ დროს კანონს არაფრად დაგიდევენ...

ოცდამეერთე საუკუნეა და მრცხვენია კიდეც, როგორ შევახსენო ამ ურა-პატრიოტებს ძველი საბერძნეთის ათენელი მოღვაწის, დიდი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის მაგალითი. ჩვენ ვიცით ეს ისტორია; სოკრატე ურწმუნოებისა და ათენის ახალგაზრდობის ღმერთთა მოძულე იდეებით ვითომ გარყვნილებისთვის გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. ციხეში ყოფნისას სოკრატეს გაქცევის ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ მან დაიცვა და თვალნათლივ აჩვენა საზოგადოებას კანონის უზენაესობა! კანონი კანონიაო, თქვა და... იგი დასაჯეს! აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სოკრატეს არ მიაჩნდა თავი დიდ მცოდნედ და ფილოსოფოსად, მე მხოლოდ ვაცნობიერებ ჩემს უცოდინარობასო — ასე ამბობდა... დიახ, ეს სოკრატე იყო, ცოდნითა და განათლებით სავსე, დიდი მოაზროვნე. ვიღაც სააკავოებს და მელიებს ხომ ვერ შევადარებთ! მაგრამ სამწუხაროდ, ამ ბრძენკაცის ცხოვრების მაგალითის გახსენება დღესაც საჭიროა. კანონის პატივისცემას ცოდნა და განათლება ესაჭიროება. და როგორ შგვიძლია, პატივი არ ვცეთ იმ დიდებულ ადამიანებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს კულტურისა და განათლების ისტორიას, ან იმ მოღვაწეებს, რომლებმაც აგვიშენეს ცოდნის ტაძრები, აკადემიები, უნივერსიტეტები, კულტურის სახლები და სხვა მრავალი. აი, ასეთ ადამიანებს მიჰყავთ ერი წინ! ისინი წარმოაჩენენ ჩვენს ყოფას და კულტურას, ვინ იცის, რამდენი ბრძენი, გამომგონებელი, მეცნიერი და მსოფლიოში აღიარებული საზოგადო მოღვაწე გამოგვიზარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ახლა დედაუნივერსიტეტს რომ ვეძახით და განა შეგვიძლია გამოვითვალოთ, კიდევ რამდენს გამოგვიზრდის ქუთაისის საერთაშორისო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს ახალგაზრდობას, ქართველ ხალხს აუშენა და არა მარტო საქართველოს, არამედ ამა თუ იმ დარგით დაინტერესებულ მსოფლიო მეცნიერებსაც კი გაუხსნის ეს უნივერსიტეტი ჩვენკენ სავალ სიკეთის გზებს. რატომ უნდა გაუკვირდეს ვინმე არამზადას და „რადიკალს“, რომ ხალხი ასეთ ადამიანთა მიერ ჩამოყალიბებულ საზოგადოებას, გაერთიანებას თუ პარტიას უფრო მეტ ხმას მისცემს, ვიდრე სხვას?

ვის შეუძლია, დღეს დაასახელოს კაცობრიობისთვის და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისთვის იმაზე დიდი პრობლემა, ვიდრე პანდემიაა?! მაგრამ არა, თურმე ეს კი არაა მთავარი, არამედ მთავარია გაუნათლებელი და უსულგულო ადამიანების პარლამენტში „დასახლება“, მათი გამდიდრება, ქონებით უზრუნველყოფა. ძვირფასო მკითხველო, ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც ორი ათეულ წელზე მეტია „მოღვაწეობენ“ პარლამენტში. ეს საკანონმდებლო ორგანო მათთვის ბეღელია და ახლა ასეთი ძვირფასი, მუდმივშემოსავლიანი წყაროს დაკარგვას ძნელად შეეგუებიან. რა თქმა უნდა, რევოლუციასაც მოაწყობენ, აგვრევენ, შეიძლება ამ აურზაურს მსხვერპლიც მოაყოლონ, ეს ცოდვა კი, როგორც ყოველთვის, მთავრობას დააკისრონ და ყოველივე ამაში ანაზღაურებაც მოითხოვონ, როგორც პარლამენტის წევრებმა. აი, საით მიჰყავთ „უნიჭოების ნიჭით“ დაჯილდოებულთ საქმე! ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ ამათ სამშობლო უყვართ?!

არა და არა!..

**გულნარა სტურუა**

რემარკის „სამ მეგობარში“ არის ერთი საკმაოდ საინტერესო ფრაზა - როცა მეძავი თხოვდება, ის ერთგული მეუღლე ხდება (ტექსტის სიზუსტეზე თავს არ ვდებ, შინაარსი კი ესაა).

იმ ტიპების ჩამონათვალს ნამდვილად არ გავაკეთებ, ვინც შალიკოს ფანჩატურში რამდენიმე თვის განმავლობაში იკრიბებოდა, რადგანაც ყველამ კარგად იცით.

არც იმას ვიტყვი, და არც იმ ამომრჩეველს დავამუნათებ, რომელთა მიერ ხმამიცემულმა უმაღლესმა კანონმდებლებმა „მთავარის“ ეთერში თავიანთი ამაზრზენი სახე გვაჩვენეს.

უბრალოდ ვიტყვი, რომ რემარკი ქართველ პოლიტიკურ მეძავებს არ იცნობდა.

არ იცნობდა გიგა ბოკერიას, რომელმაც პირადად მიიღო მონაწილეობა სულხან მოლაშვილის წამებაში.

გიგა ბოკერიას, რომელმაც ციხეში სისხლიანი კალო დაატრიალა.

გიგა ბოკერიას, რომელმაც შექმნა ისეთი გარემო, რომ ხალხს „ცივილიზაცია“, „ევროპული ცხოვრების წესი“, „დასავლური ღირებულებები“, „სამოქალაქო საზოგადოება“, „თავისუფალი მედია“ შეაძულა. ბიძინა ივანიშვილზე ამბობს, რომ „ეროვნული უბედურებააო“ და დღეს პოლიტიკურ ლიდერად და პოლიტიკური ამინდის წარმმართველად გვევლინება.

ამინდის, რომელიც წყალს ამღვრევს და მდინარის პირას მისული პოლიტიკანები კარგა მსუქანი თევზების დაჭერას ცდილობენ.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ნაცებს თურმე ბიუჯეტიდან (თქვენი, ჩემი, ჩვენი შვილების, პენსიონერების ფულიდან) ხელფასების, მივლინებების, ავტომობილების და სხვა უამრავი გასაცემი თანხის გარდა 13 000000 (ცამეტი მილიონი) ეკუთვნით!!!

სტატიებში, პოსტებში თუ სატელევიზიო გამოსვლებში ყოველთვის ვამბობდი, რომ პოლიტიკური პარტიების სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება არის ძალიან ცუდი რამ (რბილად ვწერ).

გვახსოვს ის ე.წ. პოლიტიკური ძალები, რომელთა არსებობის შესახებ თვით პარტიის წევრებმაც არ იცოდნენ, მაგრამ სხვადასხვა მანქანებით (ბლოკში გაერთიანება დ. ა. შ.) ჩვენ მიერ ბიუჯეტში გადახდილ ფულებს ხაფავდნენ.

გვახსოვს ე.წ. ბოიკოტები, როცა ზოგიერთი „პოლიტიკანური პარტიები“ სხდომებზე თვეობით არ დადიოდნენ, სახელმწიფოს მმართველობაში არამც თუ არ მონაწილეობდნენ, არამედ, პირიქით, დესტრუქციულ ქმედებებს სჩადიოდნენ.

გვახსოვს შალვა ნათელაშვილი, რომელმაც 2008 წელს ვითომდა უარი განაცხადა პარლამენტში შესვლაზე და ჩვეულებრივი თაღლითური ქმედებით ოთხი წელი ჩვენგან გადახდილ თანხებს თნქავდა.

პირდაპირ ვამბობ — არანაირი სახელმწიფო დაფინანსება! არანაირი ხელფასები!

ვინმე ხელოსანი ონკანის დასაყენებლად რომ გამოიძახოთ, იმან ბოიკოტი გამოგიცხადოთ და არ მოვიდეს, ხელფასს გადაუხდით?

ჰოდა ახლა რატომ უნდა ვაძლიოთ?

იმაზე არაფერს ვიტყვი, რომ სახელმწიფოსგან პარტიის დაფინანსება იმ ადამიანების შეურაცხყოფაა, ვინც არამც თუ ხმა არ მისცა, დასანახადაც ვერ იტანს.

ასევე საინტერესოა როგორი იქნება ხელისუფლების რეაქცია იმ სისხლის სამართლისა თუ ადმინისტრაციულ დანაშაულებთან მიმართებაში, რასაც ეს ე.წ. ოპოპარტიები ამ წუთებშიც სჩადიან და 8 ნოემბრისთვის ემზადებიან, თუ ისევ შემოუქიქინა კოჰაბიტაციის საამო ნიავმა?

**„პწკენა-პწკენაში პატარძალი დაორსულდაო“**.

დაორსულდა და მოძალადეები, უსაქმურები, გაუნათლებელი მედროვეები, უჯიშო, უსქესო, ურწმუნო და უსამშობლო არსებები უმაღლეს კანონმდებლებად დასვა.



ნუ მოგერიდებათ, დასავლეთის მხარდაჭერა დადასტურებულია.

მოკლედ რომ ვთქვა, ბრძოლა არ დამთავრებულა და, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება.

**გია გაბრიჭიძე**

# „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟები – ცხოვრებაში

**ჩვენი თაობის ადამიანებს, რომლებსაც შეხება ჰქონდათ თეატრალურ ცხოვრებასთან, კარგად ემახსოვრებათ რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“. ბერტოლდ ბრეხტის გენიალურმა ნაღვაწმა, არანაკლებ გენიალური ქართველი რეჟისორის რობერტ სტურუას დაუღალავი შრომის და ნიჭის წყალობით რომ თავისებური სცენიური მიმზიდველობა შესძინა სპექტაკლს, უბადლო აღიარება მოუტანა როგორც თეატრს, ისე ქვეყანას — მის კულტურასა და ხელოვნებას.**

რობერტ სტურუას „კავკასიური ცარცის წრის“ ყურებისას ვერვინ იფიქრებდა, რომ სულ მალე, რამდენიმე წლის შემდეგ, სცენაზე მოთამაშე პერსონაჟები ჩვენს ყოველდღიურობაში გადმოინაცვლებდნენ და ისეთ უბედურებას დააწევდნენ ქვეყანას, ბრეხტის შემოქმედება რომ გაფერმკრთალდებოდა.

30 წელია, ვცხოვრობთ იმ აურზაურში, გაუგებრობასა და ქიშპში, რასაც სცენაზე ვუყურებდით და არ ვიცოდით, რა გველოდა.

30 წელია, რაც დამოუკიდებლობას ვეზიარეთ, უფრო ზუსტად გვაზიარეს, ვინაიდან, რომ არა რუსეთში დაწყებული შიდაპარტიული, შიდასახელმწიფოებრივი მოღალატური მოძრაობა — „პერესტროიკა-გლასნოსტად“ მონათლული, არც ჩვენ და არც ჩვენნაირ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას არვინ გვიბოძებდა. ჩვენით კი რის მომპოვებლებიც ვიყავით და ვართ, ნაჩუქარი დამოუკიდებლობის პირობებშიც თვალნათლივ ჩანს.

**საბჭოთა კავშირში უდარდელ ცხოვრებას შეჩვეული ერი, რომელიც თავს არც საგარეო პოლიტიკით, არც საკუთარი ჯარის შენახვით, არც ეკონომიკური და საფინანსო საკითხების დაგეგმვა-შესრულებით იწუხებდა, უეცრად უდიდესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. საბაზრო ეკონომიკაზე, კერძო საკუთრებაზე გადასვლის პროცესი, სახელმწიფო დაგეგმარებასა და სახელმწიფო საკუთრებას მიჩვეული საზოგადოებისთვის, სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით რომ შეუძლებელი იქნებოდა, ისეთივე სინამდვილე იყო, როგორც დღესა და ღამეს შორის განსხვავება.**

ხელისუფლებაში მოსულმა ე.წ.ეროვნულმა ძალებმა, მათი დამხობის შემდეგ ფერნაცვალმა კომუნისტებმა, ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის არმცოდნეებმა, პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმისთანავე გამოაჩინეს უსუსურობა. ცურვის არმცოდნე წყალში ჩავარდნილმა ხელისუფლებამ რაც მოახერხა, ის იყო, პირველივე გამოწვდილ ხელს ჩასჭიდებოდა და დამოუკიდებლობით, სუვერენულობით, თავისუფლებიანობით მას ჩაბარებოდა.



**ყოფილმა დიდმა „ძმამ“ წლების განმავლობაში გაიაზრა დაშვებული შეცდომა და დასავლეთზე ჩამოკიდების პოლიტიკა საკუთარ თავზე დაყრდნობის პოლიტიკით შეცვალა, რითაც კოლონიზაციას მიჩვეულ დასავლეთში უკმაყოფილო გნიასი გამოიწვია. საქართველო კი პირნათლად დარჩა აშშ-ის წინაშე დადებული, მუდამ მასთან ყოფნის ფიცის ერთგული, რითიც ორივე მხარე კმაყოფილია. აშშ იმიტომ, რომ საქართველოს სახით, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსოფობი მოკავშირე ჰყავს; საქართველოს ხელისუფლება იმიტომ, რომ ამერიკელთა დავალებების შესრულება ქვეყნის სათავეში დიდხანს ყოფნის საშუალებას იძლევა.**

ამ ურთიერთობებში არსად ჩანს საქართველოს ხალხი. ერთი შეხედვითაც იოლად შეიმჩნევა ორივეს ზერელე დამოკიდებულება მისდამი. მას მხოლოდ მაშინ იხსენებენ, როდესაც ამის აუცილებლობა იქმნება. ასეთია არჩევნებია, აი, თუნდაც ისეთი, 31 ოქტომბერს რომ იყო — საპარლამენტო არჩევნების სახით.

მსოფლიოს ჰეგემონის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯები, უმრავლეს შემთხვევაში — დანარჩენი მსოფლიოსთვის ხშირად მიუღებელი, არც შინ და არც გარეთ შეკითხვებსაც რომ არ ბადებს, ჩვეულებად იქცა. არავის გაჰკვირვებია ტელეკომპანია „ევრონიუსის“ 31 ოქტომბრის ეთერში, საქართველოს საპარლამენტო არჩევნების სიუჟეტში, საქართველოში აშშ-ის ელჩის დეგნანის გამოჩენა. ტელეკომპანიის ჟურნალისტებმა, ქართველ ექსპერტებთან მოკლე ინტერვიუების შემდეგ, ამერიკელთან გადაინაცვლეს, რომელმაც შეაფასა საარჩევნო ვითარება და დაგვპირდა, რომ აშშ იმუშავებს ყველა იმასთან, ვისაც ხალხი აირჩევს.

**„ევრონიუსმა“ ამ ინტერვიუთი მიანიშნა ყველას, მათ შორის ჩვენც, ვის უჭირავს ქვეყნის პოლიტიკურ მაჯაზე ხელი. ეს რომ თითქმის 30 წელია ასეა, ეჭვი არვის ეპარება — არც პოლიტიკურ პარტიებს, არც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და არც ხალხს, მაგრამ მოურიდებელი აფიშირება ხომ არ აზიანებს ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორობას?!**

თუმცა რა გასაკვირია, როდესაც ელჩი ეთათბირება ხელისუფლება-ოპოზიციას და ხალხთან შეუთანხმებლად აკეთებინებს მათი ქვეყნის კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს, თავისთავად მეტყველებს მსოფლიოს პირველი დემოკრატიის „დემოკრატიულობაზე“.

* * *

საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში, რომელიც ლამის სამოქალაქო ომის დაწყების მაუწყებელი იყო, შეშფოთებას იწვევს პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებში. სამწუხაროდ, ასეთთა რიცხვი ქართულ პოლიტიკაში ძალიან ცოტაა. ჩვენი „პოლიტიკოსებისთვის“ ამერიკა რჩება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის სავანედ. არადა, არც ერთი და არც მეორე ამ ქვეყანას არასდროს ჰქონია, რაც განსაკუთრებით წელს ჩანს. ამერიკული სისტემა და ხელისუფლება, რომელიც ვერ იცავს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხო ცხოვრებას, მათ უფლებებს, კერძო საკუთრებას, ხელს ჰკრავს ხალხს თვითონ დაიცვას საკუთარი თავი.

ერთ-ერთი პირდაპირი მანიშნებელი ამისა არის არჩევნების წინ სამჯერ მეტი იარაღის გაყიდვა, ვიდრე შარშან ან წინა წლებში.

**ამერიკაში დაწყებული ამბოხი, როგორც ჩანს, არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება და არვინ იცის, რა სახეს ან ფორმებს შეიძენს. არადა, ქაოსით მოცული ბირთვული სახელმწიფო საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობას. შეცვლის თუ არა არჩეული პრეზიდენტი და ახალი ადმინისტრაცია საშინაო პოლიტიკას? შეძლებს თუ არა ის, ქვეყნის შიგნით არსებული უმძიმესი ვითარების დაშოშმინებას?!**

სტაბილური პარტნიორი ყველასთვის, მით უმეტეს, ჩვენთვის, მასზე ჩამოკიდებული ქვეყნისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების საშინაო საკითხებში ჩაურევლობა, დაუმორჩილებელი ხელისუფლებების „ფერად-ყვავილოვანი“ რევოლუციებით დამხობა, რასაც მუდმივად აქვს ადგილი პოსტსაბჭოთა სივრცეში. სტიმულად ნებისმიერი არჩევნები გამოიყენება, განსაკუთრებით საპარლამენტო.

საკუთარ დემოკრატიულობაში დარწმუნებულ ქართველ ამომრჩეველს ავიწყდება 30 წლის განმავლობაში ჩატარებული ყველა არჩევნების დროს დაშვებული სერიოზული ხარვეზები, რამაც ხელისუფლებას „გამარჯვების“ შანსი კი გაუჩინა, მაგრამ არჩევნების პროცესს ნამდვილი დემოკრატიულობა ვერ შესძინა.

პოლიტიკოსებს ხშირად უყვართ თავის ქება, განსაკუთრებით არჩევნებში გამარჯვებულებს, რომ აქ ჩატარებული არჩევნები არაფრით ჩამოუვარდება ევროპულ არჩევნებს; რომ ქართველები მაგრები ვართ და ა.შ.

**ჩვენი „სიმაგრე“ არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების რაოდენობაში აისახება. ამ მხრივ 31 ოქტომბრის არჩევნებმა ყველა „რეკორდი“ მოხსნა — მასში მონაწილე 60-ზე მეტი პარტიის სახით. ასეთ „სიუხვეს“ ფერად აფრიკაშიც აღარ აქვს ადგილი, თუ არა ევროპაში. მოსახლეობის სიმცირით გამორჩეული ქვეყნისთვის, ქვეყნის მართვის პრეტენზიის მქონე 60-ზე მეტი პარტია, ჭარბად ხომ არ გეჩვენებათ, პატივცემულო მკითხველო?**

ზოგს მიაჩნია, რომ პარლამენტში შესული ბევრი პარტია „ბევრი“ დემოკრატიაა. მსოფლიოს საპარლამენტო ცხოვრების გამოცდილება გვიკარნახებს — **ბევრი პარტია ქაოსის მომასწავებელია, კანონშემოქმედების შემაფერხებელი, საპარლამენტო კულისებში ბაზრის ტიპის ვაჭრობის მასტიმულირებელი**.

**საქართველოს მოსახლეობის ჭარბი რაოდენობის პარლამენტისკენ „ლაშქრობას“ ღრმა მიზეზები აქვს. მათ შორის მთავარი სამუშაო ადგილების მწვავე ნაკლებობაა. დაუსაქმებელი მომავალი პოლიტიკოსი იმ „საწარმოში“ დასაქმებას ცდილობს, პარლამენტი რომ ჰქვია. აღმასრულებელ ხელისუფლებაში რომ არჩევნების გზით ხერხდებოდეს შეღწევა, იქ დადგებოდა მსურველთა რიგი.**

პარლამენტი იმითაც არის მომხიბვლელი, რომ იქ მოხვედრილი რაღაცნაირი გზით სწრაფად ახერხებს მილიონების შოვნას, ამასთანავე, ფართო პრივილეგების მოპოვებას. პარლამენტში შესვლაზე მდიდრებიც, ე.წ. ბიზნესმენებიც არ იშურებენ ენერგიას და სახსრებს. მიზანი მარტივია: უკულმართი გზით ნაშოვნი ქონების შენარჩუნება და გაზრდა.

**საჩეკლამო დაფებიდან დამცინავად დაგვცქერიან „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟები. მალე ზოგიერთი მათგანი მიწაზე ჩამოინაცვლებს და გასწევს პარლამენტისკენ — ხალხისა და ქვეყნის „საკეთილდღეო“ მუშაობის გასაწევად — მეტადრე საკუთარი თავისა და ოჯახის. უმალ დაივიწყებს უხვ დაპირებებს, გაცემულს წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ჩვენ, ხალხი, ხელს ჩავიქნევთ და გავაგრძელებთ ცხოვრებას ძველი გზით, ცხოვრებისეულ გრძელ გვირაბში, რომლის ბოლოს სინათლე ჯერ ისევ არ ჩანს.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# ევროკავშირი ლუკაშენკოს სანქციებს უწესებს

**4 ნოემბერს ევროკავშირის ელჩები შეთანხმდნენ სანქციათა ახალ პაკეტზე ბელარუსის 15 მაღალჩინოსნის, მათ შორის ბელარუსის მოქმედი პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასა და საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ ძალადობაზე.**



სანქცირების შესახებ გადაწყვეტილება 6 ნოემბერს გამოცხადდება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

სანქციები მოიცავს აქტივების გაყინვასა და მგზავრობის აკრძალვას.

ლუკაშენკო, რომელიც 26 წელია, ხელისუფლების სათავეშია, აცხადებს, რომ 9 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ხმების 80 პროცენტით. ევროკავშირი არ ცნობს არჩევნების შედეგებს და ლუკაშენკოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად არ აღიარებს.

გასულ თვეს ევროკავშირმა ბელარუსის 40 სახელმწიფო მოხელეს დაუწესა სანქციები.

# ყოფილი პრეზიდენტი დააკავეს

**კოსოვოს ყოფილი პრეზიდენტი ჰაშიმ ტაჩი ჰააგაში დააკავეს. მანამდე ცნობილი გახდა, რომ ტაჩიმ თანამდებობა დატოვა. როგორც პრიშტინაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჰაშიმ ტაჩიმ განაცხადა, ჰააგაში კოსოვოს საკითხზე მომუშავე სამხედრო ტრიბუნალმა მის წინააღმდეგ ბრალის წარდგენა დაადასტურა.**

ჰაშიმ ტაჩი 1998-1999 წლებში სერბეთის მმართველობის წინააღმდეგ პარტიზანული ჯგუფის „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ მეთაური იყო. „კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას“ სამხედრო დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენაში ადანაშაულებენ.

პროკურორები მიიჩნევენ, რომ ჰაშიმ ტაჩი პასუხისმგებელია საომარი მოქმედების დროს 100-მდე მოქალაქის მკვლელობაზე. ტაჩი ბრალდებებს უარყოფს.



პატარა კახი – 300

# გოდება სოლომონ ლიონიძისა



**ოდეს სვეტიცხოველში ერეკლე მეფის საფლავთან გაიხსენა, რა ბრძანა გიორგი ათმეცამეტემ, როცა რუსთხელმწიფის ძღვენი – ინდაური მიართვეს.**

ფიქრის ქარზორზალა საით ერეკება?
– ეს რა დონდლო დასვა მეფედ ერეკლემან?

ოდეს რუსთ ხელმწიფის ელჩნი მიუღია,
ელჩებს ჭერეხივით ძღვენი მიუყრიათ,
მაგრამ ძილისგუდამ, ამყოლმა მადისა,
თურმე ულვაშებზე ხელიც არ გადისვა.

მაშინღა უკითხავს: „ნეტა, რა მოდისო?“
რაღაც რომ იხილა, სულ ზოლო მოდისა.

რაც იყო, რიდით რომ აუხსნა ვაზირმან,
თვალებით აქნა და ერზოში აზილა.
მაგრამ ინდაური როცა წაიფხორა
და ხმის კიზეებზე ფრთეზი აიყოლა;
ტახად მოეჩვენა,
ზაქად, ხან ნიკორად!

შიში თვალებიდან ნელა ჩამოხსნია,
ნერწყვი გადუყლაპავს ზაქიჭამიას და
კრძალვით აღუნიშნავს:
„რადგან არის ხსნილი,
ხომ არ იჭმევაო, შვილნო, სირი ესე?“

* * *

სამეფო დროშებზე ქონი დახვეულა...
ერეკლევ, მემკვიდრედ რა იფქლი დაგვიფქვი?
შუშა აუღიათ – ბროლი დამსხვრეულა –
აშუღი და შენი ყონაღი ვაგიფი*.

ომში გალეულო, შვილი ზევრი გესვა**,
მაშ, რად დაგვიტოვე ჯამი შხამით სავსე?
არა სამშობლოი, მხოლოდ ჩიტი ესე
არის საზრუნავი ზაქიჭამიასი.

ჭამისთვის სინდისი სხვეზმაც რომ ჩარაგვეს
და ჯაჭვის პერანგებს არჩიეს საკაზე,
არ ვიცი, რა პასუხს აძლევენ არაგველთ
და თოფჩეზს, კრწანისთან შენს წინ რომ აკაფეს?

სიკეთე თუ მოდის, ამაზე ვინ დაობს,
სხვა მტკივა; ვინც დაგრჩით,
რითღა ვთქვათ; „კაცნი ვართ“?
იმდენი დახარზდა გაფხორილ ინდაურს,
რომ ჭერი გვენგრევა და თავზე გვაცვივა!

* * *

სევდა ქართვლის ზედზე თავს ვერ განარიდა
და ხმა შემოესმა თზილი სამარიდან:
„ნეტა, რას გახდეზა ზრძენი სოლომონი,
თუკი მოენატრა ჩემს შვილს სორო მონის?“

* * *

– რას შვრეზი, სოლომონ? ქართლიდან გადიხარ?
ზვარი ვენახსრული რატომ გადახანი?
„რაღა ვთქვა? მატირეზს, სად იყო სადიხა.
ვიდრე გადაგვწვავდა აღა-მაჰმად-ხანი?

* * *

ნატანჯს დარდი დახვდა მისულს ნატახტართან,
ძნელი, შორი გზეზით მიდის სოლომონი!

** აღა-მაჰმად-ხანი შუშის სახანოს დიდვაზირს -ვაგიფს დამუქრებია: „დამნებდი, თორემ შენს შუშას შუშასავით დავამსხვრევო!“*
*– შუშა რვალზე მტკიცე ხდება, თუ ერეკლე მეფის ყონაღობა ამაგრებსო! – უპასუხნია პოეტს.*
*** მეფე ერეკლეს 22 შვილი ჰყავდა. გიორგი ათმეცამეტემ მას ზაქიჭამიობითა და 23 შვილით „აჯობა“!*

# სამსაუკუნოვანი გადაძახილი

შემეგეზა დარდი მეკვლედ:
– სად გლეხი და სად ერეკლე,
მას ხომ თავქვეშ ზალიშიც არ ედო?!
დამიგროვდა განსასჯელი
და დამიდგა იმის ჯერი,
გაძარცულმა სულში ჩავიხედო!

კეთილად რომ მემსახურა,
ვეღარ ვხედავ დღეს იმ ქურანს,
ნაგაზეზიც სულ ამაოდ ყეფენ...
რად წამართვეს ლუკმა პური,
რად მომპარეს ზედაური?
ნუთუ მართლა ჩაეძინა მეფეს?!



**ალექსანდრე შენგელია**

გზა დაელოცოს!

# დედაშვილობით მადლმოსილი



**ამ ცოტა ხნის წინათ ერთი კარგი პროზაიკოსის პირველი წიგნი დაისტამბა, იმ პროზაიკოსისა რომლის ნოველებსაც მკითხველი ან ჟურნალ „ცისკრის“, ან სოციალური ქსელის მეშვეობით ეცნობოდა. ეს ქალბატონი ციცი გურიელია...**

შემიძლია დაუსრულებლად ვისაუბრო მის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა დედობა, მეგობრობა, ადამიანობა, კეთილშობილება! ცხოვრებამ ვერ გაიმეტა ამ საოცრად თბილი და სათნო ქალბატონისთვის მშვიდი ცხოვრება, სამაგიეროდ, უხვად ჩუქნიდა მწარე დღეებს (ობლობაში, ავი დედინაცვლის ხელში გატარებული ბავშვობა, შვილის ავადმყოფობით გამოწვეული უამრავი გასაჭირი, რომელიც შვილის გარდაცვალებით დამთავრდა). მიუხედავად ამისა, ვერაფერმა შეუშალა ხელი, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანად, განსაკუთრებულ დედად, ულალატო მეგობრად, მოქალაქედ, ნიჭიერ მწერლად და მოაზროვნედ ჩამოყალიბებულიყო. მე მჯერა, რომ ციცი გურიელის სიტყვა დარჩება ქართულ მწერლობაში...

ზემოთ მოგახსენეთ ც. გურიელის წიგნის „უშენობის ბინდისფერი მისტერიების“ შესახებ. მისი წარდგენა მრავალრიცხოვანი მკითხველისთვის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღეს საგურამოში, ილია ჭავჭავაძისეულ მამულში გაიმართა. ავტორმა წიგნი შვილის ხსოვნას მიუძღვნა. ღია ცისქვეშეთი, მზიანი დღისა და ნიავისგან აშრიალებული ხეების კენწეროები, თითქოს უნისონში იყვნენ ციცის ნოველებთან და ავტორისგან თუ გამომსვლელებისგან სადად და ღირსეულად იღვრებოდა სიყვარულის, სევდისა და ადამიანური თანაგრძნობის უზარმაზარი ნაკადი.




დიახ, მერგო პატივი და მისი პირველი წიგნის რედაქტორი ვარ. საზოგადოებასთან ერთად მიყვარს, ვაფასებ და პატივს ვცემ ტელე-რადიო კომპანია „ობიექტივის“ ტელეწამყვანს, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანთა ქომაგსა და დიდ მეგობარს, რომელსაც დღეს დაბადების დღე აქვს. მინდა ვუსურვო შემოქმედებითი წარმატებები, დღეგრძელობა, ჯანმრთელობა ღირსების, სიყვარულის და სათნოების ქალბატონს ციცი გურიელს!

**პატივისცემით,**
**მარინა თექთუმანიძე**

გამოიცა

# ჰუმანიზაციის ეკონომიკური სახეები

**თავისუფლების მოპოვების შემდეგ ჩვენი საზოგადოების უმთავრესი მიზანია სოციალურად სრულფასოვანი პიროვნების, მისი ოჯახის ინტერესების დამაკმაყოფილებელ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება-უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური სფეროების ურთიერთკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სამეწარმეო საქმიანობაა, ბიზნესი. ეკონომიკის სფეროში განვითარების მხარდამჭერი გარემოს შესაქმნელად და მისი გაწუხრელი განვითარების მხარდასაჭერად კი აუცილებელია სათანადო ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზის განმტკიცება, რისთვისაც გარკვეული ღონისძიებებია გასატარებელი სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა ეკონომიკური ზრდა და სამართლიანობა, სოციალური განვითარება, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და გარემოს დაცვა. ამასთან, ეროვნული ეკონომიკის განსავითარებლად საჭიროა სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის ბუნების, მისი მიმართულებებისა და მექანიზმის დადგენა.**



სწორედ ამ მეტად საგულისხმო პრობლემასა და მასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხს იკვლევს მონოგრაფიულ ნაშრომში **„ბიზნესის ჰუმანიზაცია“ (მმართველობითი და მეტაეკონომიკური ასპექტები)** ეკონომიკის მეცნიერებაკთა დოქტორი **ბესიკ გვაზავა**.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეკონომისტობა მას შემთხვევით არ აურჩევია – მარტვილის რაიონის სოფ. ნაგვაზაოს მკვიდრი ეკონომისტების ოჯახში დაიბადა. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კი, ახალგაზრდა სპეციალისტმა სწავლა განაგრძო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მაგისტრის კვალიფიკაცია მიილო, ხოლო წლეულს გაზაფხულზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიენიჭა.

ნაშრომში ავტორი გულდასმით იხილავს ბიზნესის ჰუმანიზაციის მმართველობითი მეტაეკონომიკური პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებს, ბიზნესინტერესებსა და ბიზნესის მეტაეკონომიკური გააზრების განმსაზღვრელ საზოგადოებრივ გარემოს, სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების გავლენის მექანიზმების სრულყოფის პრობლემებს.

„ბიზნესის ჰუმანიზაციის“ ერთგვარ გაგრძელებად გვევლინება მასთან ერთ ყდაში მოქცეული დოქტორ ბ. გვაზავას მეორე ნაშრომი – „ჰუმანისტების ფსიქოპორტრეტები“. მასში სწავლული ეკონომისტი წარმოგვისახავს გამოჩენილ ჰუმანისტთა, კერძოდ, როგორც ქართველ ბიზნესმენთა, ისე ჩვენებურ და უცხოელ საერო და სასულიერო მოღვაწეთა ფსიქოლოგიურ პორტრეტებს, მოკლედ გვაცნობს მათ ბიოგრაფიებს. წიგნში სამ ათეულზე მეტი, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი ქართველიშვილის, დავით სარაჯიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, აკაკი ხოშტარიას, ძმები ზუბალაშვილების და ვარაზიშვილების, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, რაჟდენ დათეშიძის და სხვათა პორტრეტია მოცემული.

ავტორის აზრით, ჰუმანისტ, ქველმოქმედ ადამიანთა ცხოვრება, მათი ქცევის კულტურის გააზრებით, აუცილებლად უნდა გახდეს საზოგადოებაში კაცთმოყვარეობის პრინციპების დამკვიდრებისა და სოციალური იდეების განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

**ოთარ ტურაზელიძე**



# ამერიკული არჩევნების აბრაკადაბრა

## რა მოხდება, თუ ამერიკას არჩევნებში მკაფიო გამარჯვებული არ ეყოლება?

**ამერიკის არჩევნების წინ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, თუ რა სცენარით შეიძლება, განვითარებულიყო არჩევნების დღე და მისი შემდგომი კვირები. განიხილებოდა სხვადასხვა ვარიანტები, მათ შორის ის, რომ დემოკრატების კანდიდატი ჯო ბაიდენი დიდი უპირატესობით გაიმარჯვებდა, ან პრეზიდენტი ტრამპი მოახერხებდა ამას, ან რომ რამდენიმეკვირიან იურიდიულ ბრძოლას ვიხილავდით, რომელმაც არჩევნების შედეგები შესაძლოა, იანვრამდეც კი გახადოს გაურკვეველი. იანვარში შემდეგი მოწვევის კონგრესმა არჩევნების საბოლოო შედეგი უნდა დაამტკიცოს.**

**ამ არჩევნებში გამარჯვებულის გამოვლენის სირთულეები, მიმომხილველთა დაკვირვებით, წინასწარ ხმის მიცემას უკავშირდება. სხვადასხვა შტატს განსხვავებული კანონები აქვს იმის შესახებ, თუ როდის უნდა განიხილონ და როდემდე უნდა მიიღონ ფოსტით გაგზავნილი ბიულეტენები. სწორედ ამიტომ ამ ბიულეტენების დათვლას შესაძლოა, დღეები ან თვეები დასჭირდეს.**

**პოლიტიკის მეცნიერი უილიამ გალსტონი, ბრუკინგსის ინსტიტუტიდან, ამბობს, რომ ეს „კოშმარული სცენარია“ და რომ შედეგად, „ქვეყანა ქაოსში მოექცევა“.**

**არჩევნებამდე პრეზიდენტი ტრამპი ხშირად იმეორებდა, რომ მასიურად ფოსტით გაგზავნილი ბიულეტენები არჩევნების შედეგების გაყალბებას გამოიწვევდა და უარს აცხადებდა, რომ ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის პირობას დათანხმებოდა. ბაიდენმა კი განაცხადა, რომ ის მიიღებდა არჩევნების შედეგებს, თუ ხმების დათვლა სამართლიანად მოხდებოდა.**



### რთული პროცესი

**ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ვერ აღწევს ის, ვინც ეროვნული მასშტაბით ხმების უმეტესობა მიიღო. არჩევნების ბედი ორსაფეხურიანი სისტემით წყდება. ამ სისტემაში შტატებში არჩევნების დასრულებას საარჩევნო კოლეგიაში კენჭისყრა მოსდევს. თითოეულ შტატს კოლეგიაში გარკვეული რაოდენობის დელეგატი ჰყავს, რაც მისი მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული. პრაქტიკის მიხედვით, ცალკეული შტატის დელეგატები ხმას აძლევენ მას, ვინც ამ შტატში უფრო მეტი ხმა მოიპოვა (ორ შტატში, როგორიცაა მეინი და ნებრასკა, შესაძლოა, ხმები კანდიდატებს შორის გაიყოს).**

საარჩევნო კოლეგია 14 დეკემბერს იკრიბება კენჭის საყრელად, რომელიც ოფიციალურად განსაზღვრავს იმას, თუ ვინ იქნება შემდეგ პრეზიდენტი. კანდიდატმა სულ 538 ხმიდან კოლეგიის დელეგატთა 270 ხმა უნდა მიიღოს. შემდეგ კი კენჭისყრის შედეგები ფორმალურად სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ერთიან სხდომაზე მტკიცდება 6 იანვარს.

თუმცა არჩევნების დღესა და 6 იანვარს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღია. მათ შორის 8 დეკემბერი, თარიღი, რომლამდეც შტატებმა დელეგატთა წყება უნდა დაამოწმოს და ის შეერთებული შტატების ეროვნული არქივის მდივანს წარუდგინოს.

იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ შტატს ამ თარიღამდე არ ექნება საბოლოო შედეგები, იქნება ეს მიმდინარე დათვლის თუ საჩივრების გამო, ფედერალური კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ შტატის საკანონმდებლო ორგანოს ეძლევა საშუალება, შეიკრიბოს და დელეგატები თავად წარადგინოს, საბოლოო შედეგების დალოდების გარეშე. ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ ამა თუ იმ პარტიის კონტროლის ქვეშ მყოფმა საკანონმდებლო ორგანომ მხარი დაუჭიროს მისთვის მისაღები კანდიდატის მომხრე დელეგატებს, რომელმაც საბოლოოდ შეიძლება ამ შტატის არჩევნებში ვერ გაიმარჯვოს.

შტატებში, სადაც გუბერნატორის პოსტს და საკანონმდებლო ორგანოს სხვადასხვა პარტია აკონტროლებს, სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, რადგან გუბერნატორი ოფიციალურად ახდენს დამოწმებას საარჩევნო კოლეგიაში მისავლენ დელეგატთა სიას მას შემდეგ, რაც შტატის საკანონმდებლო ორგანო მათ წარუდგენს. შესაძლებელია, რომ შტატმა დელეგატთა ორი წყება წარადგინოს და მხარეები ითხოვდნენ საკუთარი სიის ლეგიტიმურად ცნობას. ფედერალური კანონით, თუ კონგრესს წარუდგენენ დელეგატთა ორ წყებას ერთი შტატიდან, წარმომადგენელთა პალატა და სენატი წყვეტენ, თუ რომელი იქნება მისაღები. თუ ისინი შეთანხმდებიან, კოლეგიაში მათი შერჩეული დელეგატები შევლენ, თუ ვერ შეთანხმდებიან, მაშინ გუბერნატორის მიერ არჩეული დელეგატების წყებას ენიჭება უპირატესობა და უფლებამოსილება.

### თუ საარჩევნო კოლეგიის ხმები თანაბარია

**ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა შესაძლებელია, რომ საარჩევნო კოლეგიაში მხარეებმა ერთი და იგივე რაოდენობის ხმები დააგროვონ. თუ ფრეს ვიხილავთ, და ორივე კანდიდატი არჩევნებს 269 ხმით დაასრულებს, იმის უფლებამოსილება, თუ ვინ გახდება პრეზიდენტი, წარმომადგენელთა პალატას ენიჭება. თუმცა იმის ნაცვლად, რომ თითოეულ კონგრესმენს ერთი ხმა ჰქონდეს, თითოეული შტატის კონგრესმენთა დელეგაცია ერთიანად აძლევს ხმას. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ შტატში დომინანტი პარტია გააკონტროლებს ამ ხმებს.**

თუ მსგავსი რამ მოხდება, ეს ნიშნავს, რომ მაგალითისთვის ვაიომინგის შტატში მცხოვრებ 600,000-ს ადამიანს იმდენივე წონა ექნება მომავალი პრეზიდენტის არჩევაში, რამდენიც 40 მილიონიან კალიფორნიას.

### მოღალატე დელეგატები

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ისაა, რომ ამა თუ იმ შტატის არჩეული დელეგატი, საარჩევნო კოლეგიაში შესაძლოა, „ერთგული არ აღმოჩნდეს“. ცალკეულ შემთხვევებში წლების მანძილზე დელეგატები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ერთ კანდიდატს დაუჭერდნენ ხმას, არჩევანს ცვლიდნენ.**

ბევრმა შტატმა მიიღო კანონი სწორედ ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რომლითაც საკუთარ დელეგატებს ავალდებულებენ ისე მისცენ ხმა, როგორი დაპირებაც დადეს და უზენაესმა სასამართლომ თქვა, რომ მსგავსი შეზღუდვები კანონიერია. თუმცა თეორიულად დაშვებადია, რომ ასეთმა „არაერთგულმა“ დელეგატებმა არჩევნების ბედი გადაწყვიტონ.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამ სცენარების უმეტესობის განვითარების შანსი მცირეა...

**„ამერიკის ხმა“**

### ვილმინგტონში უსაფრთხოებას აძლიერებენ

აშშ-ის საიდუმლო სამსახური ქალაქ ვილმინგტონში უსაფრთხოებას აძლიერებს, რადგან ჯო ბაიდენმა შესაძლოა, არჩევნებში გამარჯვება სწორედ ვილმინგტონში გამოაცხადოს. ქვეყნის საიდუმლო სამსახური დელავერის შტატში აგენტების დანაყოფს გზავნის, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატმა არჩევნებში გამარჯვების შესახებ შესაძლოა, სწორედ დელავერის შტატის ქალაქ ვილმინგტონში განაცხადოს.

აშშ საიდუმლო სამსახურმა ვილმინგტონში უსაფრთხოების ზომების გაძლიერება მას შემდეგ დაიწყო, რაც ბაიდენის შტაბმა სპეცსამსახურს ვილმინგტონის კონფერენციის ცენტრის კიდევ ერთი დღით გამოყენების შესახებ შეატყობინა, სადაც გავრცელებული ინფორმაციით, ბაიდენმა შესაძლოა, მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთოს.

აშშ-ის საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის, აგრეთვე ამ თანამდებობების კანდიდატების დაცვა.

### დარღვევები ამერიკაშიც ხდება

ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურს კენჭისყრის დღემდე საარჩევნო უბნებზე 150 000-ზე მეტი ბიულეტენი არ მიუტანია. 12 000 საფოსტო ბიულეტენი არ მიუტანიათ იმ ხუთ შტატში, სადაც საბოლოო შედეგები ამ დრომდე არ გამოცხადებულა.

პენსილვანიაში, სადაც 3 439 ბიულეტენმა დააგვიანა, კვლავ მიიღებენ ბიულეტენებს პარასკევამდე, თუ მათი მარკირება არჩევნების დღემდე მოხდა. ნევადაში, სადაც 4 518 ბიულეტენმა დააგვიანა, ბიულეტენებს შემდეგ სამშაბათამდე მიიღებენ. ჩრდილოეთ კაროლინაში, სადაც 2 958 ბიულეტენი არ მისულა, ბიულეტენებს მომდევნო ხუთშაბათამდე მიიღებენ, თუ ისინი 3 ნოემბრის საფოსტო მარკით იქნებიან მონიშნული. ჯორჯიასა და არიზონაში 853 და 864 ბიულეტენი არ მისულა და, შესაბამისად, ხმები, რომლებიც არჩევნების დღისთვის არ მიუღიათ, დისკვალიფიცირდა.

საფოსტო სამსახური ამომრჩეველს აფრთხილებდა, არჩევნებამდე ერთი კვირის განმავლობაში არ გაეგზავნათ ბიულეტენები. შეგახსენებთ, რომ ტრამპის საარჩევნო გუნდი მომხრეებს მუდმივად მოუწოდებდა, ხმის მიცემა პირადად უზრუნველეყოთ. ამასთან, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ბაიდენის კამპანიამაც შეცვალა თავისი გზავნილები და ამომრჩეველს მოუწოდებდა, რომ არჩევნებამდე 10 დღის განმავლობაში გამოეყენებიათ ყუთები ან პირადად მისულიყვნენ საარჩევნო უბანზე.

### ტელეკომპანიები ტრამპის წინააღმდეგ

ამერიკული ტელეკომპანიების ნაწილმა დონალდ ტრამპის სიტყვით გამოსვლის ტრანსლაცია შეწყვიტა. ასე მოიქცა „ეიბისი“ „სიბიესი“ და „ემესენბისი“. როგორც ტელეკომპანია „ემესენბისის“ წამყვანმა განაცხადა, ტრანსლაცია შეწყდა, რადგან აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტის გამოსვლა „ცრუ ინფორმაციას“ შეიცავდა. აღნიშნულმა ტელეკომპანიამ ტრანსლაცია მაშინ შეწყვიტა, როდესაც ტრამპმა თქვა, რომ ის გამარჯვებულია.

„ჩვენ ისევ უჩვეულო მდგომარეობაში ვართ. ჩვენ არა მხოლოდ ვაწყვეტინებთ დონალდ ტრამპს სიტყვას, არამედ მისი განცხადებების შესწორება გვიწევს“, — განაცხადა წამყვანმა. აღსანიშნავია, რომ სამივე ტელეკომპანიის ეთერში ტრამპის გამოსვლის დროს ანახეს წარწერა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ჯერ ცნობილი არ არის და ხმების დათვლა გრძელდება. შეგახსენებთ, დონალდ ტრამპმა თავისი გამოსვლის დროს გააკრიტიკა მედიაც. კერძოდ, მან თქვა, რომ მედიის მიერ ჩატარებული წინასაარჩევნო კვლევები ყალბი იყო და ეს კვლევები მიზნად ამომრჩევლებზე ზეწოლას ისახავდა მიზნად.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბელა თავაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბელა თავაძე (პ/ნ 60001112490), ქ. ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №74

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №74 (საკადასტრო კოდი: 03.02.25.416 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 33998.43 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 6 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 20 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68398320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 683983

6. **მოვალე:** ბელა თავაძე (პ/ნ 60001112490), ქ. ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №74;
ანა კინწურაშვილი (პ/ნ 60001124904), ქ. თბილისი, შარტავას 4, ბინა №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68398320; ლოტის ნომერი: 683983).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 20 ნოემბრის 10:00 საათამდე.

# კიდევ ერთი აღდგენილი ეკლესია

**ფონდი „ქართუს“ დაფინანსებითა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე კასპის მუნიციპალიტეტში დასრულდა ქვათახევის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო პროცესი.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ცნობით, ფიზიკური სამუშაოების შედეგად, რომელიც კომპანია „აბა ჯგუფმა“ შეასრულა, ტაძრის გუმბათის სახურავის გარდა შემოწმდა და რესტავრირდა არსებული სახურავი. სააგენტოს ინფორმაციით, ჟანგსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავებულ და ანტიკოროზიული საღებავით შეღებილ თუნუქის ლილვებზე დაგებულ ხის კონსტრუქციებზე მოეწყო „იმერული“ კრამიტის ფენილი.



**„ეროვნული სააგენტოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების სექციაზე შეთანხმებული ქვები შეჭრისა და თუნუქის შეფენის მეთოდოლოგიით, სახურავისა და ფასადის შეერთების მონაკვეთებზე სრულად გამოირიცხა ტაძრის ინტერიერში წყლის ჩადინების ალბათობა. არქიტექტურული ფრაგმენტების განსაზღვრულ ადგილებზე მოეწყო დაფერილი თუნუქის ვერტიკალური და ჰორიზონტალური წყალშემკრები და სადინარი სისტემა, რაც ფასადებს სახურავიდან ნადენ წყლის ნაკადებს აარიდებს. სამშენებლო ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით განხორციელებული სამუშაოები სააგენტოს სპეციალისტების მონიტორინგით წარიმართა. ქვათახევის მონასტერი XII-XIII საუკუნეების ძეგლია. XV საუკუნეში მეფე ალექსანდრე დიდმა მონასტერი აღადგინა. 1735-1740 წლებში მონასტერი დაიკეტა. ტაძარში დაცული სიწმინდეები კი მონასტერთან ახლოს, გამოქვაბულში გადამალეს. XVIII საუკუნის ბოლოს ეკლესია კვლავ მოქმედი გახდა და გადამალული განძიც მონასტერს დაუბრუნდა. გადმოცემის თანახმად ეკლესიის საძირკველში ჩატანებულია ღვთისმშობლის სამოსის პატარა ნაწილი. მონასტრის სხვა უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს წმ. იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილი. ქვათახევი ძველი ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთი კერაც იყო. დღემდე მოღწეულია მონასტრის ბიბლიოთეკის რამდენიმე ხელნაწერი“,** – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ქეთევან ბანძელაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ქეთევან ბანძელაძე (პ/ნ 37001003046), ქ. ქუთაისი, ბალანჩივაძის ქ. №2/6, ბინა №73

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ქუთაისი, ბალანჩივაძის ქ. №2/6, ბინა №73 (საკადასტრო კოდი: 03.06.03.073.01.073 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 49506.26 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 6 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 20 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68396620;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 683966

6. **მოვალე:** ქეთევან ბანძელაძე (პ/ნ 37001003046), ქ. ქუთაისი, ბალანჩივაძის ქ. №2/6, ბინა №73
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68396620; ლოტის ნომერი: 683966).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 20 ნოემბრის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბელა ზაქრაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბელა ზაქრაძე (პ/ნ 37001014844), სამტრედია, თამარ მეფის 38, ბინა №1

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ქუთაისი, მაისურაძის ქ. №11, სართ. 1, ბინა №1 (საკადასტრო კოდი: 03.05.01.001.01.001https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8017.78 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 6 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 20 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68399020;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 683990

6. **მოვალე:** ბელა ზაქრაძე (პ/ნ 37001014844), სამტრედია, თამარ მეფის 38, ბინა №1;
ზურაბ ბერეკაშვილი (პ/ნ 37001013029), სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №2, ბინა №21.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68399020; ლოტის ნომერი: 683990).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 20 ნოემბრის 10:00 საათამდე.

◎ რჩეულნი



# პანდემიის მიუხედავად

**ეტლით მოსარგებლე და ამპუტანტ მოფარიკავეთა საერთაშორისო ფედერაციამ სეზონის საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა.**

ალსანიშნავია, რომ 18 რჩეულიდან ორი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელია, რომლებიც „ბ" კატეგორიაში დააფასეს: ირმა ხეცურიანი და ნინო თიბილაშვილი. ეს უკანასკნელი ახალგაზრდების ნომინაციაში გამოარჩიეს.

**კობა კობახიძე**

◎ ფორმულა 1

# იქაც ასოები



**ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ 2012 წლის ფორმულა 1-ის კალენდარში ოფიციალურად შეიტანა საუდის არაბეთის ეტაპი, რომელსაც გაისად ნოემბერში ამ ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქის – ჯიდას ავტოდრომი ღამით უმასპინძლებს.**

აღნიშნული გადაწყვეტილება უკვე გააპროტესტეს მთელმა რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ისინი დასახელებულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დარღვევების გახშირებულ შემთხვევებზე ამახვილებენ ფია-ს მესვეურთა ყურადღებას და დარჩენილ ვადაში მათ ვერდიქტის გადახედვისკენ მოუწოდებენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ გენერალური რეპეტიცია

# „ჰამბურგის" გაკვეთილი

**მართალია, საიუბილეო თარიღი არ მოახლოებულა, მაგრამ 7 ნოემბერი ქართველ გულშემატკივარს მაინც არასდროს დაავიწყდება, რადგან 1979 წელს საქართველოს დედაქალაქში ჩატარდა მატჩი, რომელიც, ზოგადად, იმ სეზონთან ერთად, დიუსელდორფის 1981 წლის 13 მაისის ტრიუმფის გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა. თანაც, დააკვირდით ციფრს – იმ შეხვედრიდან ხომ თანამედროვე პოლიტმეძავთათვის საძულველი – 41 წელი გავიდა, რაც, დაგვეთანხმებით, სიმბოლური და, ამავდროულად, საკრალური ფაქტია.**

საუბარია ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური რაუნდის საპასუხო ბრძოლაზე თბილისის „დინამოსა" და „ჰამბურგს" შორის, თუმცა, ვიდრე დიდუბეში განვითარებულ მოვლენებზე გადავალთ, ორიოდე სიტყვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ პირველ თამაშსა და მეტოქეს შევაწიოთ.

გუნდის იუგოსლავმა მწვრთნელმა ბრანკო ზებეცმა ისეთ ვარსკვლავებს მოუყარა თავი, როგორებიც კევინ კიგანი, მანფრედ კალტცი, ფელიქს მაგათი, ჯიმი ჰარტვიგი და ჰორსტ ჰრუბეში იყვნენ, ამიტომ ყველაზე პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირის საწყის ეტაპზე თვით „ლივერპულის" დამჩოქებელ ნოდარ ახალკაცის შეგირდებს წინ არანაკლებ სერიოზული წინაღობის გადალახვა ელოდათ.

სამწუხაროდ, ეს აუხდენელი ოცნება აღმოჩნდა, არადა, რა კარგად იწყებოდა ყველაფერი...

„ფოლკსპარკშტადიონზე" მასპინძელთა სასტარტო ზეწოლის მოგერიების შემდეგ ყიფიანმა ანგარიში ჩვეული ინდივიდუალური ოსტატობით გახსნა, რასაც მოწინააღმდეგის დაბნეულობა და კარგუსის კართან შექმნილი კიდევ ერთი რეალური საგოლე შანსი მოჰყვა, მაგრამ იმ ეპიზოდში ჩივაძემ და სულაქველიძემ ერთმანეთს შეუშალეს ხელი და დამხვდურებს შესვენებამ სულზე მოუსწრო– 1:0.

საკვანძო მომენტად მუჯირის ავტოგოლი იქცა, ხოლო საბოლოოდ კიგანმა და ჰარტვიგმა საქმე საკმაოდ კომფორტულ 3:1-მდე მიიყვანეს.

მიუხედავად ორბურთიანი ჩამორჩენისა, დინამოელთა ძალის გათვალისწინებით, იმედი გვქონდა, რომ საერთო წარმატებას მაინც მოვიპოვებდით, მაგრამ...

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავი, ტრადიციისამებრ, დასვენების დღე გახლდათ, 100 ათასამდე მაყურებლით გადაჭედილ ტრიბუნებზე კი საზეიმო განწყობილება ვულკანის ამოფრქვევას უკვე მე-5 წუთზე დაემსგავსა, როცა სტუმართა მისამართით მარჯვენაფლანგელების – კოსტავასა და, განსაკუთრებით, გუცაევის მიერ განხორციელებული გრიგალისებური შტურმის შემდეგ ამ უკანასკნელმა პარტნიორები დააწინაურა – 1:0.

თითქოს, სრულფასოვან რევანშს მყარი საფუძველი ჩავუყარეთ – მიზნამდე ცოტაღა რჩებოდა, მაგრამ ვილაცის მიერ „რაკეტნიცის" გასროლამ ვითარება რადიკალურად შეცვალა.

ბელგიელმა მსაჯმა ალექსის პონემ თამაში შეაჩერა და ვიდრე დიქტორი აცხადებდა – თუ ემოციებს არ მოთოკავთ, მატჩი ჩაიშლება და წაგება ჩაგვეთვლებაო, „ჰამბურგი" გონს მოეგო, თბილისელები კი, პირიქით, რიტმიდან ამოვარდნენ და ფსიქოლოგიურად დაითრგუნნენ, რასაც ვრცელი სეზონით გამოწვეული ფიზიკური გამოფიტვაც დაემატა.



საკმარისია ითქვას, რომ საპასუხო შეხვედრამდე სამი დღით ადრე დინამოელები მძაფრ ბრძოლაში პრინციპულ მეტოქეს – მოსკოვის „სპარტაკს" „შეაკვდნენ" – 0:0.

მოკლედ, გერმანულმა კლუბმა აქაც მოგვიგო– 3:2 (კიგანი, ჰრუბეში, ბულიანი; ყიფიანი), საბოლოოდ კი ფინალამდე მივიდა, სადაც, დიდი უპირატესობის მიუხედავად, „ნოტინჰემთან" დამარცხდა – 0:1.

ალსანიშნავია, რომ, მინიმუმ, მსგავსი ამოცანის შესრულება ჩვენც თავისუფლად შეგვეძლო, რადგან, თურმე მომდევნო ეტაპებზე სპლიტის „ჰაიდუკსა" და იმ პერიოდში არცთუ ისე მრისხანე მადრიდის „რეალს" უნდა გავმკლავებოდით (თუ პირიქით?), რომლებსაც ზებეცის ბიჭებმა საკუთარ მოედანზე ორივე შემთხვევაში კუდით ქვა ასროლინეს – 5:1.

საკითხავია, როდისღა ავფრინდებით ასე მაღლა?

**გიორგი შოთაძე**

◎ ჩოგბურთი

# რაფაელ ნადალის მიღწევები

**პარიზის მასტერზი სათიხნარო ტურნირებიდან ერთადერთია, რომელიც გრუნტის მეფეს – რაფაელ ნადალს ჯერჯერობით არ მოუგია, თუმცა, თუ მის დღევანდელ კონდიციებს გავითვალისწინებთ, სავსებით შესაძლებელია კორტის დიდოსტატმა ნავსი ამჯერად მაინც გატეხოს და აღნიშნულ კომპონენტში მსოფლიოს პირველ ჩოგანს – სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს გაუთანაბრდეს.**



ყოველ შემთხვევაში, თანამემამულე ფელიციანო ლოპესთან საფრანგეთის დედაქალაქში პირველ წრეში სამ პარტიაში მოპოვებული გამარჯვებით ლეგენდარულმა ესპანელმა სანუკვარი მიზნისკენ ამბიციური ნაბიჯი გადადგა და, რაც მთავარია, კარიერაში მე-1000(!) შეხვედრა მოიგო.

ალსანიშნავია, რომ მსგავსი ზღუდე აქამდე მხოლოდ ჯიმი კონორსმა, როჯერ ფედერერმა და ივან ლენდლმა დაძლიეს.

შეგახსენებთ, რომ 34 წლის მალიორკელი 20 ტიტულით გრანდ სლემის ნომინაციაშიც ლიდერობს, სადაც პირველობას ფედერერთან ინაწილებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

### წერილი რედაქციას




# ცოცხალი ვარ, ცოცხალი!

## უმცროს მეგობარს, ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს

**ვიდრე მკითხველს შევახსენებდე, რომ ღვთის წყალობით, ჯერჯერობით ისევ ცოცხალი ვარ, მანამ თვით მე გამახსენდა თავის დროზე საქვეყნოდ აღიარებულ მარკ ტვენზე გავრცელებული ჭორი მისი გარდაცვალების თაობაზე. ამაზე მწერალმა მაშინ მისთვის ჩვეული სარკაზმნარევი გულახდილობით ამცნო საზოგადოებას, რომ ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებულია.**

რა თქმა უნდა, მე მარკტვენობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ მისი „მწარე გამოცდილების თავიდან ასაცილებლად, ვიფიქრე, ვიფიქრე და ჯერ კიდევ ამ ხუთიოდე წლის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დასტამბული წერილით საზოგადოებას ვაუწყე, რომ „სიკვდილი უნდა გადავდო!“ ამის მიზეზად იმას ვასახელებდი, რომ საიქიოში ლაზათიანად გასამგზავრებლად საჭირო თანხები არ მყოფნიდა.

კერძოდ, რა თანხებზე იყო საუბარი? რაზე და დამკრძალავი ბიუროს სიწუწურაქეზე, რომელიც თავის ხარჯებში მიცვალებულისთვის კუბოს ყიდვასაც კი არ ითვალისწინებდა. და მისი ფუნქცია მხოლოდ საფლავის გათხრით, მიცვალებულის ჩასვენებით და მიწის მიყრით შემოიფარგლებოდა. აღარაფერს ვამბობ ქელეხზე, რომელიც ოთუსბირი ჯდებოდა. ყველაფერი ეს ვიანგარიშე და სიკვდილი დროებით გადავდე.

მაგრამ, ხომ შეიძლება კითხვა გაგიჩნდეთ: მაინც როდემდევაპირებ სიკვდილის გადადებას? ამაზეც მაქვს პასუხი: თუნდაც მანამდე, ვიდრე კორონაეპიდემიის მძვინვარება არ გადაივლის, ეკონომიკა არ გამოცოცხლდება და ხელისუფლება შეპირებულ ღირსეულ პენსიას არ დაგვინიშნავს...

პენსიაზე გამახსენდა, ეტყობა, ლიბერთიბანკელებს სიკვდილის გადადების თაობაზე ჩემი წერილი არ წაუკითხავთ, თორემ რატომ შეეპარებოდათ ეჭვი ჩემი საპენსიო ბარათის ქმედუნარიანობაზე, რომლის წარამარა ვადის გასვლისა თუ დაზიანების მომიზეზებით ბანკომატიდან ფულის მიუღებლად მისტუმრებენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბანკის რომელიმე ფილიალში ჯოხზე დაყრდნობილი „მივჩანჩალდები“ და დარწმუნდებიან, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, აღარც საპენსიო ბარათია ვადაგასული, აღარც დაზიანებული და კუთვნილი 250 ლარსაც სულ ღიღინ-ღიღინით მითვლიან.

ეგ კი არა და, ამ ორიოდე დღის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომლის ავტორი დიდად პატივცემული მოღვაწე და ქართული ჟურნალისტიკის დიდი მოამაგე **ნუგზარ ფოფხაძე** სრულიად სამართლიანად მოითხოვდა ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან მხცოვანი მეცნიერებისა და ჟურნალისტების აღიარება-პატივისცემას, რატომღაც დასახელებულ მხცოვანთა შორის (ვგულისხმობ ჟურნალისტებს) ჩემი გვარი ვერ ამოვიკითხე. რას ვიზამთ, ხდება ხოლმე, ეტყობა, ჩემი პერსონა გამორჩა ან სულაც ცოცხალი აღარ ვეგონე...

ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცხადებ: **„ცოცხალი ვარ, ცოცხალი, თქვენი ტრფობით ვიწვები, მოვკვდები და ფერფლად გადაგეყრებით!..“**



მინდა, ჩემს უფროს და უმცროს მეგობრებს, ვისაც დავავიწყდი ან ცოცხალი აღარ ვგონივარ, ვუსურვო დიდხანს ჯანმრთელი სიცოცხლე და კეთილდღეობა...

ერთ პატარა რჩევასაც მოგცემთ: ზომიერად სვით კახური ღვინო (დილით 70 გრამი ჭაჭის არაყი), ჭამეთ ნივრიანი ხაში და 100 წელი კორონაც ვერაფერს დაგაკლებთ...

**ოთარ ხუციშვილი,**
**სამყაროს და ქართული ჟურნალისტიკის უსასრულობაში გადასული 88 წლის რუისპირელ-თბილისელი.**
**599482725.**

## ყურადღება

**ეცნობოს გალინა მაკაროვას, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე № 010210015001131044 №2/3659/15 გადაწყვეტილების საფუძველზე თანხა მის სასარგებლოდ განთავსდა ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიას სადეპოზიტო ანგარიშზე. სანოტარო ბიუროს მისამართია ქ.ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. №10, ბინა №28.**

**გთხოვთ, მიმართოთ აღნიშნულ ნოტარიუსს.**

### თეატრები დაკეტილია ...

# უმუშევრად დარჩენილი მსახიობები და ერთმაყურებლიანი სპექტაკლები

**კორონავირუსის პანდემიის გამო, მე-9 თვე დაიწყო, რაც თეატრები დაკეტილია. დასები ჯერ 1 ოქტომბერს ელოდებოდნენ, შემდეგ 1 ნოემბერს, ახლა კი საერთოდ არ იციან, რას ელოდონ. უწყებათაშორისმა კომისიამ კიდევ ერთხელ, „გაურკვეველი დროით“ გადაწია თეატრების გახსნის თარიღი.**

**ზოგმა ამ გადაწყვეტილების შესახებ პირველ ნოემბერს გაიგო, ზოგმა კი — განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წინა დღეს გამოგზავნილი მეილის მეშვეობით.**

**„ჩვენ დაწყებული გვქონდა სპექტაკლებზე მუშაობა. რაკი ამდენი ხანი არაფერი გვითხრეს, ვიფიქრეთ, რომ გაიხსნებოდა თეატრები. გაჩნდა განცდა, რომ დაავიწყდათ, ეთქვათ“,** — ამბობს რადიო თავისუფლებასთან საუბარში რეჟისორი **დათა თავაძე.** 3 ნოემბერს მან „ფეისბუკზე“ წამოიწყო კამპანია #გახსენიკულტურა.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესების მიუხედავად, რეჟისორი თვლის, რომ თეატრები უნდა გაიხსნას. მისი ერთ-ერთი არგუ-




მენტი ისაა, რომ თეატრებისთვის დაწესებული რეგულაციები გაცილებით მკაცრია იმასთან შედარებით, რაც მოქმედებს საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ კაფეებში. დათა თავაძე ამბობს, რომ საგანგებო მოთხოვნების დაცვით სპექტაკლების უსაფრთხოდ ჩატარება შესაძლებელია.

**„ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია უსაფრთხოება და არავის გვინდა, რომ ასეთ ვითარებაში ბევრ ხალხში გავმართოთ წარმოდგენა. სხვადასხვა ექსპერიმენტული ძიების შედეგად, შევიმუშავეთ ისეთი დეკორაციის იდეები, რომლებიც კიდევ უფრო იზოლირებულად ამყოფებდა მაყურებელს“** — უხსნის რადიო თავისუფლებას დათა თავაძე.

სამეფო უბნის თეატრში რეგულაციების შესაბამისად რეპეტიციებს ერთდროულად 10 მსახიობზე მეტი არ გადის. მათ მუშაობის დროს დისტანციის დაცვის საშუალება უნდა ჰქონდეთ. თეატრში 200 მაყურებელი ეტევა, თუმცა დასმა მაყურებელთა რაოდენობა 50-მდე შეამცირა.

**„ათასობით ადამიანი დარჩა უსამსახუროდ. მსახიობები, რეჟისორები და თეატრებში დასაქმებული კიდევ არაერთი ადამიანი ახლა სხვა საქმით ცდილობს, ფული იშოვოს და გადარჩენის გზებს ეძებს. ამის შემდეგ ამ სფეროში მათი დაბრუნება რთული იქნება“,** — ამბობს დათა თავაძე.

სტაგნაციის პირობებში თეატრი ონლაინ და რადიო სპექტაკლებზე მუშაობდა, სხვა საპრემიერო დადგმები კი ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ოქტომბერში პრემიერისთვის ემზადებოდა „თეატრი ათონელზე“, თუმცა მათ მხოლოდ ერთი მაყურებელი ჰყავდათ. პანდემიამ და რეგულაციებმა თეატრში მაშინ შეაღწია, როდესაც პრემიერისთვის ემზადებოდნენ. გახსნის თარიღმა გადაიწია, მერიისა და კულტურის სამინისტროს დაფინანსებული პროექტი კი ოქტომბრის დასაწყისში მერიის წარმომადგენელმა „ჩაიბარა“, რომელიც დარბაზში პირბადით იჯდა.

**„რეპეტიციების დროს მსახიობების ნაწილი ვიკრიბებოდით, ხშირად ვანიავებდით ოთახს. უბრალოდ, ძალიან რთულია სპექტაკლის გადაწყობა, რადგან დრამაა და, სცენებიდან გამომდინარე, ერთმანეთთან ახლოს მისვლა გვიწევდა“,** — ამბობს დასის მსახიობი **ლიკა მაისურაძე.**

არაერთი მოწვეული მსახიობი დღეს შემოსავლის გარეშეა დარჩენილი. ლიკამ, ისევე როგორც მისმა არაერთმა კოლეგამ, ალტერნატიული შემოსავლის წყარო იპოვა და ახლა სათამაშოების მაღაზიაში მუშაობს. ელოდება იმ დროს, როდესაც თეატრში თამაშის შესაძლებლობა მიეცემა.

მაყურებლები ერთმანეთისთვის რომ დაეშორებინათ, კოტე მარჯანიშვილის თეატრში ბილეთების გაყიდვის სქემა შეცვალეს. რადგან ორ და სამმოქმედებიანი სპექტაკლების თამაშის უფლება აღარ ჰქონდათ, იმისთვისაც მზად იყვნენ, რომ რეპერტუარის დიდი ნაწილი დაეკარგათ, ოღონდ სპექტაკლები მაინც შემდგარიყო.

**„პირბადეებით რეპეტიცია და დისტანციის დაცვა - ეს არის კოვიდცენზურა და ჩვენ კოვიდს ამის საშუალება არ მივეცით. ახლა რეპეტიციები მიმდინარეობს, თუმცა მომავალი არის გაუგებარი - რა იქნება მერე? მე მგონია, რომ ჯობდა და შესაძლებელი იყო, რომ თეატრი აქამდე, სექტემბერ-ოქტომბერში, ყოფილიყო გახსნილი, თუნდაც რაღაც დანაკარგებით გვემუშავა. ახლა უკვე დაიკეტა ყველგან — გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი...“,** — ამბობს თეატრის დირექტორი ეკა მაზმიშვილი.

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ონლაინ ჩატარდება, მათ შორის ქართული სპექტაკლების პროგრამაც. თეატრები თვლიან, რომ ამ მდგომარეობაში გაჩერება სიკვდილის ტოლფასი იქნება.

**ერთ-ერთი თემა, რაზეც უნდა ყოფილიყო ნაფიქრი, არის ის, თუ როგორ უნდა გვეცოცხლებინა სფერო ისე, რომ გვეთამაშა გარეთ, რაც ახლაც დაშვებულია და საკმაოდ დიდ ფინანსებსა და მომზადებას საჭიროებს, ესე, უბრალოდ, ქუჩაში მოდი, გარეთ ვითამაშოთ შეუძლებელია. საზღვარგარეთ ასეთ სიტუაციაში სპეციალური სტრატეგიები აქვთ შემუშავებული, ფინანსურად თუ სხვა მხრივ მხარდასაჭერად. მესმის, რომ შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ ყურადღება ხომ არ არის შეზღუდული?!** — ამბობს ეკა მაზმიშვილი.

განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი ამბობს, რომ ყოველდღე აქვს კომუნიკაცია თეატრის სფეროს წარმომადგენლებთან და სურვილის შემთხვევაში მზად არის, შეხვდეს კერძო თეატრების წარმომადგენლებსაც.

მაშინ, როდესაც შევიმუშავეთ რეგულაციები დახურულ სივრცეში კულტურული ღონისძიებების გამართვის შესახებ, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია იყო სხვაგვარი, ახლა 1000-ზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება. სექტემბერ-ოქტომბერში არ გაიხსნა თეატრები იმიტომ, რომ ეს საკოორდინაციო საბჭომ მიიჩნია, როგორც პრევენციული ზომა, რათა მაშინვე არ მიგვეღო ისეთი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია, როგორიც ახლაა, — განაცხადა ლევან ხარატიშვილმა.

სამინისტრო 29 სახელმწიფო თეატრისა და საგრანტო კონკურსებში მონაწილე პროექტების დაფინანსებას განაგრძობს, ერთიანი სამოქმედო გეგმა კი კვირის ბოლომდე ან მომავალ კვირას უნდა იყოს მზად. დათა თავაძე პრობლემას კულტურის პოლიტიკაში ხედავს, რომელიც არ შეცვლილა და არ მოერგო პანდემიის გამოწვევებს.

**„პრაქტიკულად არანაირი ზომები არ მიუღიათ. მაგალითად, სულ მცირე ხომ შეიძლებოდა ონლაინ პლატფორმაზე გადასვლისთვის შესაძლებლობა შეექმნათ, რომ სპექტაკლის გადაღებები ხარისხიანად მომხდარიყო. დაეწყოთ ფიქრი სივრცის ორგანიზებაზე, სადაც წვიმაში ტექნიკა არ დაზიანდებოდა და სხვადასხვა თეატრებს ექნებოდათ თამაშის შესაძლებლობა. დაშვებულია ღია სივრცეში თამაში, გადი და დადგი სპექტაკლი — ასე არ გამოდის.“**

სამეფო უბნის თეატრი ნახევრად მუნიციპალურია, დასიც პატარაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 20-მდე ადამიანი შემოსავლის გარეშე დარჩა. ერთ დიდ თეატრში კი შეიძლება 100-მდე მოწვეული მსახიობიც იყოს.

**ანი ბურდული**

# ქართული ღვინის დეგუსტაცია – მიუნხენში



**ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Aviareps“ ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გერმანიის ქალაქ მიუნხენში გაიმართა.**

„ღონისძიებას სასტუმრო და სარესტორნო ქსელების წარმომადგენლები, გაყიდვების სფეროში მოღვაწე პირები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ღვინის მწარმოებელი დიდი და მცირე მარნების სხვადასხვა დასახელების ღვინოები. მცირე მარნების ღვინის ტრანსპორტირება გერმანიაში ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „მცირე მარნების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში უზრუნველყო.

გერმანია ქართული ღვინის პრიორიტეტული საექსპორტო ბაზარია, სადაც ქართული ღვინის წარდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი საექსპორტო პოტენციალისა და ცნობადობის გაზრდის კუთხით.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გერმანიაში ქართული ღვინის წარდგენა, სხვადასხვა ფორმით, მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა. შედეგად, პანდემიის პირობებშიც, ამ ქვეყანაში ქართული ღვინის ექსპორტი მზარდია — მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით, ექსპორტირებულია 616 ათასი ბოთლი ღვინო, რაც 22%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს“ — ნათქვამია ინფორმაციაში.

**ღვინის ეროვნული სააგენტო**

# ასეულობით ვეშაპი სანაპიროზე გამოირიყა

**შრი-ლანკაში მაშველებმა ნაპირზე გამორიყული 100-მდე ვეშაპი გადაარჩინეს და ზღვაში დააბრუნეს. აღნიშნული შემთხვევა მოხდა ორშაბათს, პანადურას სანაპიროებზე, სამხრეთი კოლომბოდან 25 კილომეტრის დაშორებით. მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მაშველებმა შეამჩნიეს ვეშაპთა მასობრივი გამორიყვა, შეატყობინეს მთავრობას, რომლის ბრძანებით მობილიზებული იქნა სრული რესურსები მათ გადასარჩენად.**



ამ დრომდე უცნობია, თუ რამ გამოიწვია ამდენი ვეშაპის მასობრივი გამორიყვა სანაპიროსთან. ადგილობრივთა ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ასამდე ვეშაპი გადაარჩინეს სიკვდილს, რამდენიმე მათგანის გადარჩენა მაინც ვერ მოასწრეს და დაიხოცნენ.

# წაულები პანდემიას შეეწირებიან

**დანიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება 17 მილიონამდე წაულის დახოცვის შესახებ, მას შემდეგ, რაც მიიღეს სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცხოველთა ამ სახობებში კორონავირუსმა მუტაცია განიცადა.**

ვირუსი, რომელიც მუტაციას განიცდის წაულებში, შესაძლოა მათგან ადამიანებზეც გავრცელდეს და შეამციროს ანტისხეულების გამომუშავების უნარი. ეს უნარი კი თავის მხრივ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს კორონავირუსის ვაქცინის შექმნის პროცესისთვის.

დანიის პრემიერ-მინისტრმა მეტე ფრედერიკსენმა თქვა, რომ მუტირებული ვირუსი Covid-19-ის პოტენციური ვაქცინის „ეფექტურობის საშიშროებას“ წარმოადგენს.



**„ჩვენ დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება საკუთარი მოსახლეობის წინაშე, მაგრამ ახლა უკვე ახლადაღმოჩენილი მუტაციით, ჩვენ კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს დანარჩენი მსოფლიოს წინაშეც“,** — თქვა მან პრესკონფერენციაზე. ხელისუფლების ინფორმაციით, ვირუსის მუტირებული შტამპი ჩრდილოეთ იუტლანდიაში 12 ადამიანს გამოუვლინდა. დანიის პოლიციის განცხადებით, ცხოველთა განადგურება რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს.

**სულიერება**

# დიმიტრის შაბათი

**7 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სარწმუნოთა და სასოებით მიცვალებულთა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა — ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს.**




დიმიტრის შაბათი დიმიტრი დონელის (1389 წ.) დროიდან იღებს სათავეს.

1380 წელს ღირსმა სერგი რადონეჟელმა წმინდა მთავრის თანდასწრებით აღასრულა პანაშვიდი კულიკოვოს ბრძოლაში დაღუპული მეომრების სულის საოხად.

ამგვარი პანაშვიდი შემდგომში ტრადიცია გახდა — თანდათან წინაპართა მოსახსენიებელ დღედ იქცა.

...და ასე იხსენიებს საქართველო როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ისე პანდემიით დაღუპულებს, ისე ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანთ, რომლებსაც ღმერთი სასუფეველში მოიხსენიებს, სადაც მართალნი განისვენებენ.

**გიული ლიპარტია**

# სერბეთის პატრიარქს კორონავირუსი დაუდასტურდა



**სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურს, პატრიარქ ირინეოსს კორონავირუსი დაუდასტურდა.**

90 წლის პატრიარქს კორონავირუსი რუტინული ტესტირებისას გამოუვლინდა. პატრიარქი ბელგრადში, კოვიდკლინიკაში იმყოფება, თუმცა დაავადება მიმდინარეობს ასიმპტომურად და გართულებების გარეშე.

კვირას პატრიარქი ირინეოსი ესწრებოდა სერბეთის ეკლესიის უხუცესი მიტროპოლიტის დაკრძალვის ცერემონიას, რომელიც კორონავირუსისგან გარდაიცვალა.

როგორც იუწყებიან, დაკრძალვის ცერემონიას, რომელიც მონტენეგროს დედაქალაქ პოდგორიცაში გაიმართა, უამრავი ადამიანი ესწრებოდა პირბადისა და სოციალური დისტანცირების გარეშე. ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ მონტენეგროს პრემიერ-მინისტრი და სერბეთის პრემიერ-მინისტრი.

# ინფიცირების შემთხვევებმა 48 მილიონს გადააჭარბა

**ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირების 48 034 287 შემთხვევაა გამოვლენილი. ინფორმაციას ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი ავრცელებს.**




ინფიცირებისა და გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობით შეერთებული შტატები ლიდერობს. ქვეყანაში საერთო ჯამში გამოვლენილია 9 480 242 შემთხვევა, გარდაცვლილია 233 663 ადამიანი. გასულ 24 საათში აშშ-ში დადასტურდა ინფიცირების რეკორდული რაოდენობა - 103 000, გარდაიცვალა 1 100 პაციენტი.

აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილზეა ინდოეთი. აქ სულ დადასტურებულია 8 313 876 შემთხვევა, გარდაცვლილია 123 611 ადამიანი, მესამე ადგილზე მყოფ ბრაზილიაში უკვე დაფიქსირებულია 5 590 025 შემთხვევა, გარდაცვლილია 161 106 პაციენტი.

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 10 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.4000; ევრო - 4.0137;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4428;
100 რუბლი - 4.3756; თურქული ლირა - 0.4022;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0000;
1000 სომხური დრამი - 6.8982.

**ამინდი 7 ნოემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე | +13 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე | +13 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე | +14 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge